კვირეული „ვერსიათ“ ერთი

ვერსია

№21 (1711) 17 – 23 ივლისი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ექსკლუზივი – ნოდარ ნიშნიანიძე, რომელიც ეროვნული ნაკრების წევრებს მოკვლით ემუქრებოდა, ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში დაიჭირეს

როგორ დაასრულა ცოლის ძმამ ვაკო ყაზაიშვილის სანაკრებო კარიერა

„მე ახლა მკვდარი უნდა ვიყო“ – დონალდ ტრამპის სკანდალური დოსიე

როგორ გადაურჩა სიკვდილს და რა ვიცით 20 წლის თავდამსხმელზე

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ვინ ვისთან იქნება 26 ოქტომბრისთვის



როდის ჩამოყალიბდება ოპოზიცია საარჩევნო სტრატეგიასა და ტაქტიკაზე

ვის შეეხება ამნისტია

პარლამენტში ამნისტიის შესახებ კანონპროექტის განხილვა დაიწყო

პოლიციამ ბათუმში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.ც. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ბათუმში, ურთიერთშელაპარაკებისას, 1997 წელს დაბადებული ა.წ. დანის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანამდე გარდაიცვალა.

პოლიციამ რ.ც. ცხელ კვალზე, ბრალდებულის სახით დააკავა.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების საკითხებზე მასშტაბური უწყებათაშორისი სწავლება გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლებმა ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების საკითხებზე ორგანიზებულ უწყებათაშორის სწავლებაში მიიღეს მონაწილეობა.

ღონისძიებას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილი, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი ლევან ღირსიაშვილი და სხვა მონაწილე უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

აღნიშნული სწავლება მიზნად ისახავდა ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტების დროს ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე უწყებათაშორისი მზადყოფნის, კოორდინაციისა და რეაგირების შესაძლებლობების დემონსტრირებასა და შემდგომ გაძლიერებას. სწავლების ფარგლებში, სოფელი კრწანისის ტერიტორიაზე, საველე ვარჯიში გაიმართა, რომელსაც საერთაშორისო ექსპერტები უძღვებოდნენ.

სწავლებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა, ასევე, მიიღეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, თავდაცვის სამინისტროს, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა.

უწყებათაშორისი სწავლება გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) ორგანიზებითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის – „ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“ – ფარგლებში განხორციელდა.

პროექტი „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში (SAFE)“ – ინიციატივის ნაწილია და 2020 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება. მისი მიზანია საქართველოს უსაფრთხოების სექტორში ჩართული სახელმწიფო უწყებების ეფექტიანი და ანგარიშვალდებული მმართველობის ხელშეწყობა.

პოლიციამ იმერეთში მომხდარი განზრახ მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთისა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლების მიერ, ცხელ კვალზე, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი თ.ჭ. დააკავეს. მას ბრალად ედება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ თ.ჭ.-ს სიძესთან, 1992 წელს დაბადებულ გ.კ.-სთან კონფლიქტი მოუვიდა, მოგვიანებით, ბრალდებული საჩხერეში, გ.კ-ს საცხოვრებელ სახლთან მივიდა და იქვე არსებულ ავტოფარეხთან, სადაც გ.კ.-ს მეგობარი – 1979 წელს დაბადებული კ.ლ. იმყოფებოდა, ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლა განახორციელა. მომხდარის შედეგად კ.ლ. დაიჭრა. დაშავებული მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში მოათავსეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. სამართალდამცველებმა თ.ჭ. ბრალდებულის სახით, ცხელ კვალზე დააკავეს.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

საქართველოსა და ირლანდიას შორის გაფორმებული დოკუმენტის თანახმად, ირლანდიაში ქართული მართვის მოწმობების გადაცვლა შესაძლებელი გახდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ირლანდიის ტრანსპორტის სამინისტროსა და ირლანდიის საგზაო უსაფრთხოების ორგანოს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს მართვის მოწმობების გადაცვლის შესახებ.

ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაშია 2024 წლის 25 ივნისიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოსა და ირლანდიის მიერ გაცემული მოქმედი მართვის მოწმობის მფლობელებს, თეორიული ან პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების გარეშე შეუძლიათ გადაცვალონ თანაბარი ძალის მქონე მართვის მოწმობაში მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად.

მემორანდუმით განსაზღვრულია იმ სატრანსპორტო საშუალების კატეგორიები/ქვეკატეგორიები, რომელთა სამართავად გაცემული მართვის მოწმობები ექვემდებარებიან გადაცვლას, კერძოდ, AM, A1, A2, A, B, BE, C1, C, D1, D1E, D, DE, CE და C1E კატეგორიების/ქვეკატეგორიების სამართავად გაცემული მართვის მოწმობების გადაცვლა თეორიული ან პრაქტიკული გამოცდების ჩაბარების გარეშე იქნება შესაძლებელი.

ირლანდიის საგზაო უსაფრთხოების ორგანოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, საქართველო უკვე დაემატა იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომლებიც აღიარებულია ირლანდიის მიერ მართვის მოწმობის გადაცვლის მიზნებისთვის (https://www.rsa.ie/services/licensed-drivers/driving-licence/exchange-foreign-licence).

აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ირლანდიის მიერ აღიარებული ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ირლანდიაში (წელიწადში არანაკლებ 185 დღე) შეუძლიათ გადაცვალონ მართვის მოწმობები ონლაინ განაცხადის საფუძველზე ან ეროვნული მართვის მოწმობის სამსახურში (NDLS).

ვის შეეხება ამნისტია

მაკა რუხაძე

პარლამენტში ამნისტიის შესახებ კანონპროექტის განხილვა დაიწყო

საქართველოს პარლამენტში ამნისტიის პროექტის განხილვა 15 ივლისიდან დაიწყო. უფრო ზუსტად, კანონპროექტი პარლამენტის ბიუროს სხდომაზე უკვე შევიდა და შემდეგ მისი განხილვა კომიტეტებში გადაინაცვლებს. პარალელურად, ქუთაისის, ქსნისა და რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრები გაიფიცნენ – შიმშილობა დაიწყეს, რადგან ამნისტიის კანონი არ მოსწონთ. მიმდინარე კვირაში, რიგგარეშე სესიის ფარგლებში, კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღება დაიგეგმა, ხოლო საშემოდგომო სესიაზე განხილვა განახლდება და საბოლოოდ, მესამე მოსმენით მიიღებენ კიდეც. „მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ რატი იონათამიშვილს და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს, რომელმაც ეს პროექტი მოამზადა, ასევე, საქართველოს მთავრობისა და პროკურატურის წარმომადგენლებს, რომლებთან თანამშრომლობითაც ხდებოდა ამნისტიის პროექტის შემუშავება. ეს არის საკმაოდ დაბალანსებული ამნისტიის აქტი, რომელიც პირველი ნაბიჯია იქითკენ, რაც პრემიერ-მინისტრმა მისი არჩევის დღეს განაცხადა და შემდეგ უკვე, წლიური ანგარიშის დროს გაიმეორა და რაც ჩვენი პოლიტიკური გუნდის სურვილია – შემცირდეს პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმართა რიცხოვნობა. ჩვენ, გარკვეულწილად, შიდა მიზანიც დასახული გვაქვს, რომ საბოლოო ჯამში, ერთი მესამედით შემცირდეს პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირების საერთო რაოდენობა“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა და იქვე დასძინა, რომ ამნისტია, დაახლოებით, 10%-მდე პატიმარს შეეხება დაუყოვნებლივ გათავისუფლების სახით, ხოლო საერთო ჯამში, შეეხება პატიმრების ერთ მესამედს – სხვადასხვა სახით.

ამნისტიის პროექტი

„ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, ამ კანონის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თავისუფლდებიან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებული და მსჯავრდებული პირები, აგრეთვე დანიშნული სასჯელი უმცირდებათ ცალკეული დანაშაულების ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირებს, აგრეთვე პირობითი მსჯავრი და გამოსაცდელი ვადა უმცირდებათ პირობით მსჯავრდებულ და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირებს, – ვკითხულობთ ამნისტიის შესახებ კანონის პროექტში.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, რატი იონათამიშვილი ამნისტიის შესახებ კანონის პროექტის ერთ-ერთი ავტორია. მისი თქმით, საპარლამენტო ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ დააინიცირა დაბალანსებული „ამნისტიის პროექტი“, რომელიც ჰუმანიზმის პრინციპებსა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებს შორის სამართლიან ბალანსს ეფუძნება და იმავდროულად, აზღვევს რეციდივის რისკებს; ითვალისწინებს დაზარალებულის ინტერესებს; შეესაბამება საერთაშორისო-სამართლებრივ სტანდარტებს; თანხვედრაშია სისხლის სამართლის პოლიტიკის პრიორიტეტებთან; ქმნის რესოციალიზაციის ხელშემწყობ პირობებს.

რატი იონათამიშვილის განმარტებით, ამნისტია შეეხება 2024 წლის პირველ ივლისამდე ჩადენილ მთელ რიგ დანაშაულებს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 66 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს. ამასთან, სახელდებით ჩამოთვლილი 66 მუხლის გარდა, 1/6-ით შემცირება შეეხება, დაახლოებით, 225 მუხლს.

„პროექტი ადგენს ამნისტიის შემდეგ ფორმებს: პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან სრულად გათავისუფლება; სასჯელის ერთი მეორედით შემცირება; სასჯელის ერთი მეოთხედით შემცირება; სასჯელის ერთი მეექვსედით შემცირება; პრობაციონერებისთვის პირობითი მსჯავრის ერთი წლით შემცირება. აღსანიშნავია, რომ ამნისტიის პროექტით, სიახლის სახით არის გათვალისწინებული ერთი მეექვსედით შემცირების წესი, რაც მაქსიმალურად აფართოებს ამნისტიის ბენეფიციართა წრეს, რომელიც ჰუმანიზმის პრინციპების დაცვით მაქსიმალურად დაიცავს დაზარალებულთა ინტერესებს“, – აღნიშნა რატი იონათამიშვილმა.

მისივე განცხადებით, ამნისტია არ შეეხება მკვლელობისთვის ნასამართლებ პირებს; ნარკორეალიზატორებს; სქესობრივ დანაშაულებს; ყაჩაღობას; ტერორიზმს; კორუფციულ და სამოხელეო დანაშაულებს; ქურდულ სამყაროს; კონვენციურ დანაშაულებს; ტრეფიკინგსა და სხვა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებს.

„ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ამნისტია განსაკუთრებულ მიდგომას ნერგავს პრობაციონერების მიმართ და პირობითი მსჯავრის ერთი წლით შემცირება შეეხება დაახლოებით 7 000 პირს, რაც წარმოადგენს სიახლეს ამნისტიის წინა პროექტებთან შედარებით“, – აღნიშნა რატი იონათამიშვილმა და იქვე დასძინა, რომ თუ იქნება გამოთქმული არგუმენტირებული შენიშვნები, კანონპროექტის ინიციატორები მზად არიან, მცირე სახის ცვლილებები საკომიტეტო მოსმენების დროს გაიზიარონ.

ინტერვიუ კანონპროექტის ავტორთან

საზოგადოებას აინტერესებს, კონკრეტულად, ვის ეხება ამნისტია. დეტალების დასაზუსტებლად, „ვერსია“ კანონპროექტის ავტორს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს, რატი იონათამიშვილს დაუკავშირდა:

– ბატონო რატი, ამნისტიის შესახებ კანონის პროექტის მეშვიდე მუხლში განმარტებულია, კონკრეტულად რომელ მუხლებს არ ეხება ამნისტია, თუმცა მერვე მუხლის მიხედვით, თუ დაზარალებული პირი თანახმაა, ამნისტია აღსრულდება. ასეა?

– დაზარალებულის თანხმობა მიემართება იმ მუხლებს, რომლებზეც ამნისტია ვრცელდება და არა მეშვიდე მუხლს, რომელზეც არ ვრცელდება. ეს ნიშნავს, რომ მერვე მუხლი არეგულირებს მხოლოდ აღსრულების საკითხებს, როგორ უნდა მისცეს დაზარალებულმა თანხმობა.

ხაზგასმით განვმარტავ, რომ მეშვიდე მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულები აბსოლუტურად გამორიცხულია და მათზე ამნისტია საერთოდ არ ვრცელდება!

– კანონპროექტის განხილვა მხოლოდ ახლა დაიწყო და ბუნებრივია, დღეს ნაადრევია ამაზე საუბარი, თუმცა აპირებთ თუ არა შენიშვნების გათვალისწინებას?

– საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი პროცესი გვავალდებულებს, რომ ეს პროცესი იყოს ინკლუზიური და გამჭვირვალე. შესაბამისად, თუ საკომიტეტო, ან სასესიო განხილვების დროს იქნება შემოთავაზებული არგუმენტირებული შენიშვნები, მზად ვართ, გავიზიაროთ, ან არგუმენტირებული პასუხი გავცეთ, კონკრეტულად რა შენიშვნას რატომ გავიზიარებთ, ან რატომ არ მივიჩნევთ, რომ მისი ასახვა იყოს მიზანშეწონილი.

– რა არსებითი შენიშვნები გამოითქვა უკვე?

– აქამდე, ინიციატორებს შენიშვნები არ მიგვიღია. თუმცა, პროექტის განხილვა შემოდგომაზე განახლდება და ვფიქრობ, შენიშვნების დროც საკმარისად არის.

– ჩემი წყაროს ინფორმაციით, პატიმრების სულმოუთქმელად ელოდნენ ამნისტიას... მესმის, რომ სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის მუხლებს ვერ და არ შეეხებოდა ამნისტია, თუმცა სასჯელის შემსუბუქებაც ხომ ერთგვარი ამნისტია იქნებოდა, არ მეთანხმებით?

– მესმის, რომ მოლოდინი მაღალია და სწორედ ამიტომაც არის, რომ ჩვენ დავიწყეთ მუშაობა დაბალანსებული ამნისტიის პროექტზე. ამნისტია არ ნიშნავს შეწყალებას, ამიტომ მასზე მუშაობა მოითხოვს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რადგან საზოგადოებრივი უსაფრთხოება, რეციდივის რისკები და დაზარალებულის ინტერესები მაქსიმალურად იყოს დაცული. შესაბამისად, ჰუმანური აქტი ამ ბალანსის დაცვას მოითხოვს, პირველ რიგში. ამიტომ, დანაშაულის ისეთი მძიმე კატეგორიები, როგორიც არის მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა, ყაჩაღობა, მარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი, სექსუალური ძალადობა, ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებული დანაშაულები, ტერორიზმი და სხვა, ამნისტიის პროექტში არ ასახულა.

„მე ახლა მკვდარი უნდა ვიყო“ – დონალდ ტრამპის სკანდალური დოსიე

ნინო დოლიძე

როგორ გადაურჩა სიკვდილს და რა ვიცით 20 წლის თავდამსხმელზე

დღეს, მსოფლიოს ყურადღება პლანეტის ყველაზე გავლენიანი სახელმწიფოსკენ არის მიპყრობილი და ეს ბუნებრივიცაა – რამდენიმე დღის წინ, აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, პენსილვანიის შტატში, მხარდამჭერებთან შეხვედრის დროს ესროლეს. სროლის შედეგად, ტრამპი დაშავდა და, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ტყვია „მარჯვენა ყურის ზედა ნაწილში“ მოხვდა. თავდასხმიდან მალევე, გამოძიების ფედერალურმა სამსახურმა ანუ FBI-მ გაავრცელა ინფორმაცია ტრამპზე თავდამსხმელის ვინაობის შესახებ. კერძოდ, დნმ-ის ტესტის საფუძველზე დადგენილია, რომ პენსილვანიის შტატის ქალაქ ბატლერში, ამომრჩეველთან შეხვედრისას, ტრამპს თავს 20 წლის ტომას მეთიუ კრუქსი დაესხა, რომელიც შემთხვევის ადგილიდან, დაახლოებით, 70 კილომეტრით დაშორებულ დასახლებაში ცხოვრობდა. კრუქსი საიდუმლო სამსახურის თანამშრომლებმა მას შემდეგ მოკლეს, რაც ტრამპის მისამართით ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროლა. რა გახდა თვდასხმის მიზეზი? – ეს ამ ეტაპზე უცნობია, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ კრუქსი რესპუბლიკელების ამომრჩევლად იყო დარეგისტრირებული, თუმცა ფედერალური კამპანიის ანგარიშების მიხედვით, 2021 წლის 20 იანვარს, მან 15 დოლარი პროგრესული პოლიტიკური ქმედების კომიტეტს გადაურიცხა. ტრამპზე თავდასხმამ, ცხადია, მსოფლიო აღაშფოთა და ამ ამბავს, ბუნებრივია, გაგრძელებაც ექნება, მინიმუმ, თუ ტრამპი პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირდა, თავდასხმას სათვისოდ გამოიყენებს და, როგორც წამებული ლიდერი, მასების მხარდაჭერასაც დაიმსახურებს, თუმცა ეს მომავლის საქმეა. ახლა კი „ვერსია“, ინტერნეტმასალებზე დაყრდნობით, დონალდ ტრამპის X-ფაილს წარმოგიდგენთ.
მაშ ასე, ვინ არის ტრამპი – ამერიკის პატრიოტი თუ მილიარდერი, რომელიც ქვეყნის ინტერესებზე წინ, საკუთარ ეგოს აყენებს?

აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი პირველად რომ გახდა, 70 წლის იყო. მაშინ, 2016 წელს, საპრეზიდენტო მარათონში ტრამპმა დემოკრატი კანდიდატი ჰილარი კლინტონი დაამარცხა. მან პრეზიდენტობა მეორედაც მოინდომა, თუმცა 2020-ში აღარ გაუმართლა და ჯო ბაიდენთან ბრძოლაში დამარცხდა. ამჯერადაც ბაიდენს ეჯიბრება...

სხვათა შორის, ტრამპს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის ინტერესი ჯერ კიდევ 1987 წელს ჰქონდა, თუმცა ოფიციალურად საკუთარი კანდიდატურა მხოლოდ ორი ათეული წლის მერე, კერძოდ, 2015 წელს წამოაყენა.

ბიოგრაფია

... დონალდ ჯონ ტრამპი 1946 წლის 14 ივნისს, ნიუ იორკში, უძრავი ქონების წარმატებული დეველოპერის, ფრედ ტრამპისა და მერი მაკლაუდის ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები გერმანიიდან და შოტლანდიიდან იყვნენ.

13 წლის ასაკში, ტრამპი სამხედრო აკადემიაში გაგზავნეს, სადაც 1959-დან 1964 წლამდე სწავლობდა. 1964-1966 წლებში, ბრონქსში, ფორდჰემის უნივერსიტეტში, შემდეგ კი პენსილვანიაში, უორტონის სკოლაში, ეკონომიკის მიმართულებით მიიღო განათლება.

1960-იან წლებში, ტრამპის უფროსმა ძმამ, ფრედმა პილოტობა გადაწყვიტა. სწავლის დასრულების შემდეგ, დონალდმა პილოტი ძმა ჩაანაცვლა და მამის ბიზნესის მართვაში აქტიურად ჩაერთო. მოგვიანებით, 1981 წელს, ფრედ ტრამპი ალკოჰოლთან დამოკიდებულებით გარდაიცვალა. დონალდ ტრამპის თქმით, ამ ინციდენტის გამო, ალკოჰოლსა და სიგარეტს მთელი ცხოვრება თავს არიდებს.

კოლეჯის შემდეგ, ტრამპი სრულიად ჩაერთო მამის სამშენებლო ბიზნეს-საქმიანობაში. 1971 წელს, მამის საკუთრებაში არსებული კორპორაციების თავმჯდომარე, 1974 წელს კი – პრეზიდენტი გახდა. კომპანიას მოგვიანებით სახელი გადაარქვა და ტრამპის ორგანიზაცია უწოდა.

მართალია, ტრამპი პროფესიულად მამის კვალს გაჰყვა, მაგრამ საკუთარი ბიზნესი მაინც განსხვავებულად და უფრო ამბიციურად წარმართა. ბრუკლინისა და ქუინსის შემდეგ, თავისი ნიშა მანჰეტენზე იპოვა, სადაც რამდენიმე გრანდიოზული პროექტი წარმატებით დაასრულა და მეხუთე ავენიუზე, 68-სართულიანი ტრამპ-თაუერიც ააშენა.

სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, არსებობდა იდეა, რომ ე.წ. ტრამპ-თაუერი საქართველოშიც უნდა აშენებულიყო, მაგრამ... იდეა იდეად დარჩა....

უძრავი ქონების პარალელურად, წარმატებული იყო ტრამპის მოღვაწეობა შოუ-ბიზნესშიც. კერძოდ, 1996-დან 2015 წლამდე, აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი სილამაზის კონკურსების – „მის სამყაროს“, „მის ამერიკისა“ და „მის თინეიჯერი ამერიკას“ მფლობელი გახლდათ. 2004 წელს კი, NBC-ის ეთერში, მისი სატელევიზიო გადაცემის – „მოსწავლე“ (The Apprentice) დებიუტი შედგა. როგორც ცნობილია, აღნიშნულმა შოუმ ტრამპს 213 მილიონი დოლარი მოუტანა. ის რამდენიმე წიგნის ავტორიცაა.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

„მე ახლა მკვდარი უნდა ვიყო“ – დონალდ ტრამპის სკანდალური დოსიე

მე-4 გვერდიდან

ქონება

„ფორბსის“ მონაცემებით, ტრამპი 2.5 მილიარდი დოლარის მფლობელია. ამის ფონზე კი, The New York Times-მა, 2020 წლის 27 სექტემბერს, ჟურნალისტური გამოძიება გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, ტრამპი 10 წლის მანძილზე გადასახადებს არ იხდიდა, 2016-17 წლებში კი მხოლოდ 750 დოლარი გადაიხადა.

ოჯახი

მილიარდელი ტრამპი სამჯერ იყო დაქორწინებული. მისი პირველი ცოლი, ჩეხი სპორტსმენი და მოდელი, ივანა ზელნიკოვაა, რომელთანაც სამი შვილი – ივანკა, დონალდ უმცროსი და ერიკი ჰყავს.

წყვილის ურთიერთობა 1990 წელს დასრულდა.

1993-1999 წლებში, ტრამპი მეორე ქორწინებაში იმყოფებოდა მსახიობ მარლა მეიპლისთან, რომელთანაც ერთი შვილი ჰყავს.

რაც შეეხება ამჟამინდელ ცოლს – მელანია ტრამპს, ტრამპი მასთან ქორწინებაში 2005 წლიდანაა და ერთი საერთო შვილი, ბარონ უილიამი ჰყავს.

ტრამპის პოლიტიკა და სკანდალები

მილიარდელი ბიზნესმენის პოლიტიკური ცხოვრება ამერიკის პრეზიდენტობამდე მრავალფეროვანი არ ყოფილა. 1980-იან და 2000-იან წლებში ვრცელდებოდა ხმა კენჭისყრაში მისი მონაწილეობის შესახებ, მაგრამ 2000 წელს მან უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე და გამოუშვა წიგნი – „ამერიკა, რომელსაც ვიმსახურებთ“. წიგნში საკუთარი ეკონომიკურად კონსერვატიული შეხედულებები ჩამოაყალიბა. ამის შემდეგ, კიდევ ერთხელ, უკვე 2012 წელს გამოჩნდა პოლიტიკაში და ყურადღება ბარაკ ობამას მიმართ გავრცელებული ყალბი განცხადებებით მიიქცია. იმხანად ტრამპი ამტკიცებდა, რომ დემოკრატი ობამა ამერიკაში არ იყო დაბადებული.

2016 წელს, ტრამპის კამპანია მეტწილად კონტროვერსიული იყო. მაგალითად, ვრცელდებოდა ინფორმაცია აშშ-ის არჩევნებში რუსეთის ჩარევის შესახებ. კერძოდ, აშშ-ის დაზვერვის სამსახურებს მიაჩნდათ, რომ ეს პროცესი უშუალოდ რუსეთის პრეზიდენტის მიერ იყო მართული და არჩევნებში ტრამპის მეტოქის, ჰილარი კლინტონის დამარცხებას ემსახურებოდა. კოლუმბიის ფედერალურმა სასამართლომ რუსული კომპანია, ინტერნეტ-კვლევების სააგენტო, ე.წ. ტროლების ფაბრიკა, 2016 წელს, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევაში დაადანაშაულა და 13 პირს ბრალი წაუყენა. მიუხედავად იმისა, რომ ტრამპი აღნიშნულს უარყოფდა, მოგვიანებით, აშშ-ის სადაზვერვო სამსახურის დასკვნას იმის შესახებ, რომ რუსეთი 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაერია, დაეთანხმა.

2016 წლის წინასაარჩევნო პერიოდში, სადავო იყო მისი დაპირებებიც. ტრამპი ამერიკელ ხალხს მექსიკისა და აშშ-ის საზღვარზე კედლის აშენებას ჰპირდებოდა. იგი, ასევე, ეხებოდა ქვეყანაში მუსლიმების შესვლის აკრძალვას. გარდა ამისა, კამპანიის პერიოდში, ხშირი იყო ტრამპის რასისტული, სტერეოტიპული, თუ ქსენოფობიური განცხადებებიც.

„რა გაქვთ დასაკარგი?“ – ასე მიმართა 2016 წელს, აფროამერიკელ ამომრჩეველს დონალდ ტრამპმა.

„სიღარიბეში ცხოვრობთ, სკოლები არ გაქვთ კარგი, არ გაქვთ არც სამუშაოები, 58 პროცენტი თქვენი ახალგაზრდებისა უმუშევარია, რა ჯანდაბა გაქვთ დასაკარგი“, – განაცხადა მაშინ ტრამპა.

მსოფლიო გაოცებული იყო, როცა ტრამპი პრეზიდენტი გახდა. მან საარჩევნო კოლეგიის საჭირო 270 ხმაზე მეტი ანუ 304 მოაგროვა და დემოკრატი კლინტონი დაამარცხა. იმ პერიოდში, მოქმედი პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ტრამპის კონკურენტის მხარდამჭერი იყო, ტრამპი კი – ობამას პოლიტიკის ღია მოწინააღმდეგე. დონალდ ტრამპის გამარჯვების შემდეგ, მთელი მსოფლიოს ყურადღება ამ ორი ლიდერისკენ მიემართა. წინასაარჩევნოდ, მათ შორის არსებული დაძაბული გარემოს მიუხედავად, მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტები ერთმანეთს მშვიდ გარემოში შეხვდნენ. ტრამპმა ობამასთან თანამშრომლობის სურვილიც კი გამოთქვა.

2017 წლის 27 იანვარს, ტრამპმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის მიხედვითაც, 120 დღით, 7 მუსლიმურ ქვეყნიდან ხალხის აშშ-ში გადასვლა შეზღუდა. ადგილობრივი და საერთაშორისო კრიტიკის ფონზე, ის ამ ინიციატივას „ეროვნული უსაფრთხოების“ ინტერესებით ხსნიდა.

გარდა ამისა, ტრამპს ქსენოფობიური დამოკიდებულება აქვს მექსიკელების მიმართ. მისი თქმით, ისინი „მოძალადეები“ არიან და ქვეყანაში ნარკოტიკების გავრცელებას უწყობენ ხელს.

2020 წლის სექტემბერში, ტრამპის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სამხრეთის საზღვარაზე, 300 მილის ბარიერის აშენება დაასრულა.

დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროს გაძლიერდა სასამართლოს კონსერვატიული ფრთა. მან, 4 წლის განმავლობაში, უზენაესი სასამართლოს სამი მოსამართლე წარადგინა, მათ შორის, ბოლო იყო 48 წლის ემი კონი ბარეტი, რომელიც აბორტის მოწინააღმდეგეა. მის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს კონსერვატიული ფრთის წარმომადგენლებმა – მათ იმედი აქვთ, რომ გაუქმდება უზენაესი სასამართლოს 1973 წლის გადაწყვეტილება, რომლითაც აბორტი დასაშვები გახდა.

ტრამპი, თავისი განცხადებების გამო, ხშირად ხვდებოდა მედიისა და საზოგადოების კრიტიკის ქვეშ. მაგალითად, 2020 წლის 23 იანვარს, რასისტული განცხადება გააკეთა – კორონავირუსს „ჩინური ვირუსი“ უწოდა და მის აღსაწერად ტერმინი „კუნგ ფლუ“ (kung flu) გამოიყენა. პრობლემური იყო ტრამპის საუბარი საკუთარი მხარდამჭერების მიმართაც. ერთ-ერთი კამპანიის წარმართვისას, ტრამპმა თქვა, რომ მისი მომხრეები იმდენად ერთგულები არიან, თუნდაც ვინმეს იარაღიდან ესროლოს, მათ ხმას მაინც არ დაკარგავს. ამასთან, 2019 წელს, ტრამპმა კონგრესის წარმომადგენელი ქალების, კერძოდ კი, ფერადკანიანი დემოკრატების შესახებ „დატვიტა“ და მოუწოდა, იმ ქვეყნებში დაბრუნებულიყვნენ, საიდანაც ჩამოვიდნენ.

დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის 4 წელი მისი მედიასთან ღიად ნეგატიური დამოკიდებულებითაც გამორჩეოდა. მან არაერთხელ გამოუცხადა სიტყვიერი ომი ამერიკელ ჟურნალისტებს. The New York Times-ს, ABC-ის, CNN-ს ტრამპმა „საზოგადოების მტრები“ და „ფეიკ ნიუსების“ მედიები უწოდა. ასევე, ერთ-ერთი კონფერენციის დროს, ახალი ამბების რეპორტიორი ოთახიდან გააძევა – ტრამპი მას შემდეგ გაღიზიანდა, რაც ჟურნალისტმა მას ემიგრაციასთან დაკავშირებით დაუსვა შეკითხვები.

ამასთან, ტრამპი არაერთხელ დაადანაშაულეს სექსუალურ შევიწროებასა და არაკეთილსინდისიერ ქმედებებში. ABC-ის ცნობით, ასეთი ქცევა, დაახლოებით, 18 ქალის მიმართ ჰქონდა. ბოლოს, მსგავსი შემთხვევა, საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე მოხდა, როცა ყოფილმა მოდელმა განაცხადა, რომ პრეზიდენტმა მასზე სექსუალურად იძალადა. მიუხედავად ამისა, დონალდ ტრამპი ყველა ბრალდებას უარყოფს და მათ „ყალბ ამბებს“ უწოდებს.

ასევე, სკანდალური იყო 2018 წელს, პორნო-ვარსკვლავის, სტორმი დენიელსის განცხადებებიც. მისი თქმით, 2016 წლის არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე, დონალდ ტრამპის ადვოკატმა მას 130 ათასი დოლარი გადაუხადა, რომ გაჩუმებულიყო და ტრამპთან ძველი ურთიერთობის შესახებ არაფერი ეთქვა. დენიელსის განმარტებით, მის ოჯახს ემუქრებოდნენ, ამიტომ დუმილი არჩია.

დასასრული მე-15 გვერდზე

ვინ ვისთან იქნება 26 ოქტომბრისთვის

ნინო დოლიძე

როდის ჩამოყალიბდება ოპოზიცია საარჩევნო სტრატეგიასა და ტაქტიკაზე

მაშ ასე: წამზომი ჩართულია – არჩევნებამდე 100 დღეზე ნაკლები რჩება. ოპოზიცია კი ისევ იმაზე ბჭობს და ბაასობს, თუ როგორ უნდა გავიდეს არჩევნებზე – ერთად თუ ცალ-ცალკე. მართალია, ოპოზიცია არ იმჩნევს, მაგრამ გარედან ისე ჩანს, რომ ამ ფლანგზე დიდი არეულობაა. ამასთან, ისიც თვალსაჩინოა, რომ „ოპოები" 26 ოქტომბრის მოგებისთვის კი არა, უფრო იმისთვის იბრძვიან, თუ ვინ იქნება მთავარი ოპოზიციური ძალა ანუ ყველა ხვდება, რომ ენმ-ს დრო წავიდა და ახლა ეს ნიშა თვისუფალია, შესაბამისად, ვთქვათ, იგივე, ნიკა გვარამიას უნდა, რომ მთავარი ოპოზიციონერი გახდეს. ამ ტიტულზე უარს, ალბათ, არც ლელო იტყოდა და არც – გახარია. ისე, სიტყვამ მოიტანა და გახარია ოპოზიციის კიდევ უფრო განსაკუთრებული ფრთაა, რომელიც ერთნაირი წარმატებით ილაშქრებს, როგორც ხელისუფლების, ასევე – თავად ოპოზიციის წინააღმდეგაც.

ამასობაში კი პარტია ახალი, რომელსაც ზურა ჯაფარიძის გირჩი-მეტი თავისუფლება და ელენე ხოშტარიას დროა შეუერთდა, საჯარო რეესტრმა რეგისტრაციაში გაატარა. ამის შესახებ პარტიის თანათავმჯდომარე ნიკა გვარამიამ სოც-ქსელში დაწერა:

„ბევრი წვალების შემდეგ, საჯარო რეესტრმა ბოლო-ბოლო დაარეგისტრირა ახალი! ახალი სახელით, ახალი წესდებით, ახალი პოლიტსაბჭოთი!

საქართველოში პირველი პოლიტიკური პარტია ვართ, რომელსაც ორი თანათავმჯდომარე ჰყავს!

სიახლე და ერთიანობა აქ და ახლა!

ჩვენი ნომერია 4".

რაც შეეხება ზემოხსენებულ შეერთებას, ვინაიდან ამ არჩევნებზე ბლოკები აღარ არის, ესა თუ ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მონათესავე სულის ძალასთან დააპირებს დაწყვილებას, თუ კვალიფიციური სუბიექტია, საკუთარ ნომერთან და სახელთან მოუწევს გამომშვიდობება. ასე მოხდა იგივე ენმ-სა და გიორგი ვაშაძის სტრატეგია აღმაშენებლის დაწყვილების შემთხვევაშიც ანუ არსებული ინფორმაციით, ვაშაძე-ენმ-ს ერთობა 26 ოქტომბერს ასეთი სახელით – „ერთიანობა საქართველოს გადარჩენისთვის" იასპარეზებს, თუმცა საარჩევნო ნომერი ისევ 5 იქნება.

ყველაფერ ამის ფონზე, საინტერესოა, ვის დაუწყვილდება ლელო, რომელზეც თავიდან ითქვა, რომ კავშირის შეკვრას, თითქოს, გვარამია-მელიასთან აპირებდა, თუმცა ამ ეტაპზე, სხვა რეალობაა.

ისე, პოლიტიკურ კულუარებში დადის ხმა, რომ ლელოს „დათრევა" ყველა პოლიტძალას უნდა, ვინაიდან ამ პარტიას აქვს ფული. არჩევნებზე კი ფული, მოგეხსენებათ, გადამწყვეტია თუნდაც იმიტომ, რომ პოლიტიკურმა ძალამ საარჩევნო კამპანია აწარმოოს.

როგორც ამბობენ, გახარიას პარტიას ფულის პრობლემა არ აქვს, მაგრამ მარტო ეს არ უნდა იყოს საბაბი, რის გამოც ის ვინმესთან გაერთიანებისგან თავს იკავებს.

სხვათა შორის, ამას წინათ, ე.წ. გახარიებმა მინიშნებით განაცხადეს, ჩვენს პოლიტიკურ მრწამსთან ყველაზე ახლოს ლელო დგასო, რაც, ალბათ, იმას ნიშნავდა, რომ ირიბად გაერთიანება შესთავაზეს, მაგრამ ლელოსგან ცივი უარი მიიღეს და აი, ეს განცხადებებიც:

„ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, არანაცური და არაოცნებური ძალები როგორ იქნებიან წარმოდგენილნი პარლამენტში. ამას აქვს ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა და მერწმუნეთ, რომ ბევრი მიმუშავია და კიდევ ბევრს ვიმუშავებ იმისთვის, რომ, როგორმე, ლელო განაცებისგან გადავარჩინოთ. მე ამას არც ვმალავ. ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს ჩემთვის საინტერესოა. მე ვიღაცის ლამაზი თვალები კი არ მომწონს, მე მაქვს ჩვეულებრივი პრაგმატული პოლიტიკური ინტერესი. ეს პოლიტიკური ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება ნაკლები იყოს წარმომადგენელი ამ ორი რადიკალური პარტიიდან, ნაციონალური მოძრაობიდან და ოცნებიდან", – თქვა პარტია საქართველოსთვის ლიდერმა, გიორგი გახარიამ „ტვ პირველის" ეთერში.

„ეს ამბავი ცალმხრივი სიყვარულის ისტორიას ჰგავს. გახარიას მიმართ, წლების განმავლობაში, საზოგადოებას და „ლელოს" აქვს კითხვები წარსულთან დაკავშირებით. ამ შეკითხვებზე პასუხი არ მოგვისმენია, არც მომავალში ველოდებით ამ პასუხებს. გახარიასთან თანამშრომლობას „ლელო" არ განიხილავს. არც წარსულში ყოფილა მსგავსი რამ, არც ახლა არსებობს და არც მომავალში იქნება. წინასაარჩევნოდ არ განვიხილავთ მათთან თანამშრომლობას, მიუხედავად იმისა, რომ გუნდში რიგი პროფესიონალი ადამიანები ჰყავს, რომლებიც მგონია, რომ თავის დროზე, შეიძლება, კარგი საჯარო მოხელეებიც კი იყვნენ. დამატებით კრიტიკაში არ შევდივართ იქიდან გამომდინარე, რომ ნათქვამი გვაქვს, წინასაარჩევნო კონტექსტში, მორატორიუმს ვაცხადებთ ურთიერთკრიტიკასა და თავდასხმაზე. ამიტომ, კრიტიკაში არ შევდივართ", – თქვა გახარიას საპასუხოდ ლელოს გენერალურმა მდივანმა, ირაკლი კუპრაძემ.

მოკლედ, როგორც ჩანს, გახარიას ოცნება ოცნებად დარჩება და ლელო მასთან თანამშრომლობას არ დაიწყებს.

ჯერჯერობით, ცალკე მოთამაშის შთაბეჭდილებას ტოვებს გიგა ბოკერიას ევროპული საქართველო, ანა დოლიძის პარტია და ალეკო ელისაშვილის „მოქალაქეებიც".

ამასობაში კი, ცესკო იმის შესახებ ავრცელებს ცნობას, თუ რამდენი გაერთიანება დარეგისტრირდა ამ დროისთვის არჩევნებში მონაწილეობისთის:

„ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით, დასრულდა საქართველოს პარლამენტის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად იმ პოლიტიკური პარტიების სარეგისტრაციო განაცხადების მიღება, რომლებსაც არჩევნების დანიშვნის დროისთვის არ ჰყავთ მათი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრები.

ცესკო-ს რეგისტრაციის მოთხოვნით 28 პოლიტიკურმა გაერთიანებამ მომართა, საიდანაც უკვე რეგისტრირებულია 9 პოლიტიკური პარტია, ხოლო რეგისტრაციის პროცედურებს გადის 19.

საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, პარტია ვალდებულია, პარტიის მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 აგვისტოსი, ცესკო-ს წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის სია.

გარდა ზემოაღნიშნული პოლიტიკური პარტიებისა, 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ პარტიებს, რომლებიც აკმაყოფილებენ საარჩევნო კოდექსით დადგენილ პირობებს. კერძოდ, პარტიებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე და საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის დროისათვის ჰყავთ მათი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრები.

აღნიშნულ მოთხოვნას შემდეგი პარტიები აკმაყოფილებენ:

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო
ლელო საქართველოსთვის
ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩი
ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები
ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
გიორგი ვაშაძე – სტრატეგია აღმაშენებელი
კანონი და სამართალი
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს ევროპელი დემოკრატები
საქართველოს რესპუბლიკური პარტია
მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის
პროგრესი და თავისუფლება".

ერთი სიტყვით, ოპოზიცია, ალბათ, მალე ჩამოყალიბდება, 26 ოქტომბერისთვის როგორი სტრატეგია და ტაქტიკა ექნება.

ბუღალტრული შეცდომები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სკანდალური დასკვნა – ხარვეზები მოკლევადიან დავალიანებებში, შემოსავლებში, გრანტებსა და ტრანსფერებში

2023 წლის მანძილზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გენერალურ პროკურატურაში 21 დასკვნა გადააგზავნა. „ვერსიის“ წინა ნომერში უკვე შემოგთავაზეთ საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ფინანსური საქმიანობის ანგარიში, ამჯერად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების აუდიტს გთავაზობთ. შეგახსნებთ, რომ ეს ანგარიშიც დეტალურად გვაქვს განხილული 2023 წელს, ამიტომ მხოლოდ მნიშვნელოვან დარღვევებს გაგახსნებთ, რომელიც სახელმწიფო მაკონტროლებლების დასკვნის მიხედვით, არ შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების შესახებ! ნონსენსია, მაგრამ ფაქტია, რომ ეკონომიკის სამინისტროს შემოწმების დროს, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა ხარვეზები გამოავლინეს მოკლევადიან დავალიანებებში, შემოსავლებში, გრანტებში, ტრანსფერებსა და სუბსიდიებში. აუდიტის დასკვნა, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში გახლავთ.

ზოგადი ინფორმაცია

სახელმწიფო აუდიტის დასკვნა იწყება ზოგადი ინფორმაციით – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავარი ამოცანაა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ვაჭრობისა და ინვესტიციების, წარმოების, მომსახურებისა და ტურიზმის ხელშეწყობა; სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა; მშენებლობის პოლიტიკის, ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება და ხელშეწყობა; ტრანსპორტისა და ლოგისტიკის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის, აკრედიტაციის, კაპიტალის ბაზრისა და ქვეყნის ბრენდის განვითარება; წიაღის მდგრადი მართვა; ენერგეტიკის დარგის განვითარება და უსაფრთხოება; სამინისტროს მართვაში არსებულ საწარმოებში აქციონერის უფლებამოსილებების განხორციელება და სხვ.

„გარდა ამისა, COVID 19-ის პანდემიიდან გამომდინარე, 2021 წელს, ეკონომიკის სამინისტრომ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: ტურიზმის ადმინისტრაციამ – საქართველოს მოქალაქეებისათვის სავალდებულო კარანტინის ფარგლებში განთავსებასთან, ტრანსპორტირებასთან, კვებასთან, დასუფთავებასთან, უსაფრთხოებასა და საკარანტინო პერიოდში შესაბამისი პირობების შექმნასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ღონისძიება. 2021 წელს, სავალდებულო კარანტინის ფარგლებში, მომსახურება გაეწია 43 310 მოქალაქეს. კარანტინის ფარგლებში მომსახურება მიღებულია 91 კოვიდ-სასტუმროსგან; სამინისტროს აპარატის მიერ მოსახლეობის სოციალური დახმარების – კომუნალური გადასახადების სუბსიდირების მიზნით, გაწეულია 151 538 402 ლარის ოდენობით ხარჯი; სსიპ „აწარმოე საქართველოში“, 2021 წლის ბოლომდე გაგრძელდა გარდამავალი პირობები ბიზნესის მხარდაჭერის არსებულ პროგრამაში – საკრედიტო-საგარანტიო სქემა; გაგრძელდა სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის პროგრამა და შემუშავდა ბიზნესის ხელშეწყობი დამატებითი მექანიზმები სარესტორნო ინდუსტრიის მიმართულებით“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს მმართველობაში შედის 16 სსიპ და ორი ააიპ.

ხარვეზები მოკლევადიან დავალიანებებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ირიცხება მოკლევადიანი – მიმდინარე დებიტორული დავალიანებები 43 021 351 ლარის ოდენობით. კერძოდ, სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“, ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი – მიმდინარე დებიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარიცხული 13 574 630 ლარიდან, 9 993 574 ლარი წარმოადგენს საფინანსო ინსტიტუტების მიმართ არსებულ მოთხოვნებს. აღნიშნული თანხა მოიცავს სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ მიერ, 2021 წლის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ საავანსო გადახდებს.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დებიტორული დავალიანების დადასტურებისათვის აუდიტის ჯგუფმა წერილობით მიმართა საფინანსო ინსტიტუტებს. მიღებული პასუხების მიხედვით, დებიტორები აღიარებენ 6 603 909 ლარით ნაკლებ დავალიანებას.

„შესაბამისად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „მოკლევადიანი -მიმდინარე დებიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე აღრიცხული 6 603 909 ლარის არსებობასა და სისწორეზე“, – დაასკვნეს სახელმწიფო აუდიტორებმა.

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ განმარტებით, 2021 წლის ბოლოს, პანდემიის პერიოდში გართულებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, საფინანსო ინსტიტუტებმა დროულად ვერ წარადგინეს ინფორმაცია ჩამოჭრილი თანხების შესახებ, რის გამოც 2021 წლის მეორე ნახევარში ჩამოჭრილი თანხები, სააგენტოს მიერ აისახა 2022 წლის დასაწყისში.

სახელმწიფო აუდიტორებამ გაარკვიეს, რომ სსიპ „ქონების ეროვნულ სააგენტოს“ 2021 წლის 26 იანვარს, შპს „საქართველოს ფოსტის“ კაპიტალში შეტანილი აქვს შპს „საქართველოს ფოსტის“ ვალდებულება „ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ“ – 8 645 690 ლარის ოდენობით. „ქონების ეროვნულ სააგენტოს“ აღნიშნული მოთხოვნა შპს „საქართველოს ფოსტის“ მიმართ ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხული არ ჰქონდა. შესაბამისად, „ქონების ეროვნული სააგენტოს“ ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი – მიმდინარე დებიტორული დავალიანებების“ მუხლი, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შემცირებულია 8 645 690 ლარის ოდენობით.

დასასრული მე-8 გვერდზე

ბუღალტრული შეცდომები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში

მე-7 გვერდიდან

სსიპ „მინერალური რესურსების სააგენტოს“ ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი – მიმდინარე დებიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული 3 467 001 ლარიდან, 200 970 ლარის დაფარვის ალბათობა დაბალია. აღნიშნული თანხა წარმოადგენს 2017-2020 წლებში, რეგულირების საფასურის დარიცხვიდან წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებას, რომლის ამოსაღებად სააგენტოს მიერ ქმედებები არ განხორციელებულა.

„აქედან გამომდინარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი – მიმდინარე დებიტორული დავალიანებების“ მუხლი, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შემცირებულია 8 645 690 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი – მიმდინარე დებიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე აღრიცხული 6 804 879 ლარის არსებობასა და სისწორეზე“.

დარღვევები შემოსავლებსა და გრანტებში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები აღიარებულია უარყოფითი ნაშთით – 290 329 ლარის ოდენობით. სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ები სხვადასხვა დონორი ორგანიზაციიდან იღებენ მიზნობრივ გრანტებს. გაფორმებული მიზნობრივი გრანტის ხელშეკრულებების პირობები ითვალისწინებს თანხის ხარჯვას კონკრეტული დანიშნულებით, წლის ბოლოსთვის დარჩენილი აუთვისებელი თანხა ისევ სახაზინო ანგარიშზე რჩება ნაშთის სახით, ხოლო პირობების შეუსრულებლობისა და გრანტის გამცემი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ჩარიცხული თანხები ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

„2021 წელს, სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ-ებმა: ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ, ტურიზმის ადმინისტრაციამ და საზღვაო აკადემიამ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციიდან ჩარიცხული მიზნობრივი გრანტის თანხების აღრიცხვისთვის გამოიყენა საკასო აღრიცხვის მეთოდი. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების – სსბასს 23-ის მოთხოვნების შესაბამისად, ტრანსფერით მიღებული/გადაცემული აქტივების პირობები ერთეულისგან აქტივის მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის დანიშნულებისამებრ მოხმარებას, ხოლო პირობების დარღვევის შემთხვევაში, ტრანსფერის განმახორციელებელი ერთეულისთვის უკან დაბრუნებას მოითხოვს“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ მიზნობრივი გრანტების აღრიცხვისთვის საკასო მეთოდის გამოყენება არ შეესაბამება სსბასს 23-ის მოთხოვნებს და სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად უარყოფითი ნაშთით აღიარებული შემოსავლისა – 290 329 ლარის ოდენობით, აღიარებული უნდა იყოს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები – 682 621 ლარის ოდენობით. მეტიც, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული უნდა იყოს მიზნობრივი გრანტის გაუხარჯავი ფულის ნაშთის შესაბამისი ვალდებულება, რაც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 174 202 ლარს.

„შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლი – „შემოსავლები გრანტებით“ შემცირებულია 972 950 ლარით, ხოლო „სხვა მოკლევადიანი – მიმდინარე ვალდებულებების“ მუხლი – 174 202 ლარის ოდენობით“.

დარღვევები ტრანსფერებსა და სუბსიდიებში

აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ ეკონომიკისა და მდგრაფი განვითარების სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2021 წელს, აღრიცხულია 337 812 362 ლარის გრანტების, ტრანსფერებისა და სუბსიდიების ხარჯი, საიდანაც სამინისტროს აპარატის მიერ, 2021 წელს, ანაზღაურებულია ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულება, სულ – 10 091 661 ლარი. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით, მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულება უნაზღაურდებათ ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობას (აბონენტებს) 2020 წლის 1 დეკემბრიდან, 2021 წლის 15 მაისის ჩათვლით და 2021 წლის 15 ოქტომბრიდან, 2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდებში.

„2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით, სამინისტრო თანხებს ანაზღაურებს ბუნებრივი აირის გამანაწილებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი და მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ სათანადოდ დამოწმებული შესაბამისი ანგარიშების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტების მიერ დამოწმებული ანგარიშების გადამოწმების ვალდებულება სამინისტროს არ აქვს. მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის საკითხზე მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება სააგენტოს 5 დღის ვადაში“.

აუდიტის მიმდინარეობისას, ანაზღაურებული თანხების სისწორის, სისრულისა და წარმოშობის დასადასტურებლად, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან“ აუდიტორებმა გამოითხოვეს ინფორმაცია 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით, ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირების შესახებ. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 10 091 661 ლარის ხარჯიდან – 2 422 567 ლარი ანაზღაურებულია ისეთ აბონენტებზე, რომლებსაც „სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ მოწოდებულ ბაზაში არ აქვთ მუდმივად მცხოვრების სტატუსი.

„აღსანიშნავია, რომ მუდმივად მცხოვრების სტატუსის არმქონე პირებზე თანხები გადაირიცხა 2020 წელსაც, რაც განხილულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშში. ამასთან, აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაცია, შემდგომი რეაგირების მიზნით, 2021 წლის 15 ნოემბერს გაგზავნილია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების „გრანტების, ტრანსფერებისა და სუბსიდიების“ მუხლში აღრიცხული 2 422 567 ლარის წარმოშობისა და სიზუსტის შესახებ. გარდა ამისა, ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში შესაბამისი კონტროლის მექანიზმების არარსებობა წარმოშობს თანხების არაეფექტიანი და არაეკონომიური განკარგვის რისკებს“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ინოვაციების სააგენტოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 13 318 567 ლარის გრანტებისა და სუბსიდიის ხარჯი მოიცავს 7 851 631 ლარის ისეთ დანახარჯებს, რომელთა აღრიცხვა აღნიშნულ ანგარიშზე შეუსაბამოა ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანების მოთხოვნებთან. შედეგად, ინოვაციების სააგენტოს 2021 წლის „გრანტების, ტრანსფერებისა და სუბსიდიის“ ხარჯი 7 851 631 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი. ამასთან, 2021 წლის ხარჯებში აღრიცხული 7 851 631 ლარი საჭიროებს მუხლში – „საქონელი და მომსახურება“ რეკლასიფიკაციას.

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრანტების, ტრანსფერებისა და სუბსიდიების“ ხარჯის მუხლში აღრიცხული 134 767 029 ლარის ხარჯი შემცირებულია 169 710 ლარით, რაც წარმოადგენს მონიტორინგის შედეგად, წინა საანგარიშგებო პერიოდებში, სხვადასხვა კომპანიაზე აღიარებული გრანტის ხარჯების უკუგატარებას – შეცდომის გასწორებას.

„ეს ქმედება არ შეესაბამება სსბასს 3-ის მოთხოვნებთან, რომელთა მიხედვით შეცდომები უნდა გასწორდეს რეტროსპექტულად; გარდა ამისა, სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ დებიტორული დავალიანებების აღრიცხვასთან დაკავშირებული ხარვეზის გამო, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება აღნიშნული სსიპ-ის ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წელს „გრანტების, ტრანსფერებისა და სუბსიდიების“ ხარჯის მუხლში აღრიცხული 134 767 029 ლარის სისრულისა და სისწორის შესახებ. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრანტების, ტრანსფერებისა და სუბსიდიების“ ხარჯის მუხლის სისრულისა და სისწორის შესახებ“, – დაასკვნეს სახელმწიფო აუდიტორებმა.

სამართალი

№21 17 ივლისი 2024 წ

ექსკლუზივი – ნოდარ ნიშნიანიძე, რომელიც ეროვნული ნაკრების წევრებს მოკვლით ემუქრებოდა, ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში დაიჭირეს



როგორ დაასრულა ცოლის ძმამ ვაკო ყაზაიშვილის სანაკრებო კარიერა

ბათო ჯაფარიძე

დიდი ხანია, საქართველოში მიმდინარე კრიმინალურ მოვლენებზე აღარ დამიწერია. უფრო სწორად, იმ პროცესებზე, რომლებიც რიგითი მოკვდავთათვის ხილული არ არის, მაგრამ კარგად იციან ძალოვანმა უწყებებმა და მუშაობენ, დღისით და ღამით ცდილობენ, აღმოფხვრან ის პრობლემა, რომელიც არსებოს, მაგრამ აქედანვე ვთქვათ, რომ თუ ყველაფერ ამაში, შესაბამისი კანონი არ მიაშველა პარლამენტმა, არაფერი გამოვა, თუმცა ამაზე ქვემოთ, მანამდე კი ექსკლუზივი...

2021 წლის 16 ნოემბერს, კიევში, სვიატოშინსკის რაიონული სასამართლოს შენობიდან გამოსულ ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტ ირაკლი მალანიას რამდენჯერმე ესროლეს. მართალია, მალანია საავადმყოფოში ცოცხალი გადაიყვანეს, მაგრამ რამდენიმე ტყვია ჰქონდა მოხვედრილი და მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. უკრაინელმა სამართალდამცავებმა თავდამსხმელების ვინაობა მალე დაადგინეს და ძებნა 32 წლის ნოდარ ნიშნიანიძესა და 36 წლის ლაშა სიხარულიძეზე გამოცხადდა, თუმცა ძებნაც არის და ძებნაც, ორივე მათგანი ინტერპოლის წითელ ცირკულარში ჩასვეს.

ბევრი ამბობდა, რომ ორივე კრიმინალური ავტორიტეტი იმდენად გამოცდილი იყო, რომ სასწაული უნდა მომხდარიყო, ინტერპოლის მცდელობის მიუხედავად, დაეკავებინათ.

მომხდარიდან ცოტა ხნის შემდეგ, ტელევიზიით გავრცელდა ჩანაწერი, სადაც ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი ნიშნიანიძე უკვე ფეხბურთის ფედერაციისა და ნაკრების წევრებს ემუქრება. ის უკმაყოფილოა იმით, რომ ნაკრების თავკაცმა ვილი სანიოლმა, ნიშნიანიძის დის ქმარი, ვაკო ყაზაიშვილი ძირითად შემადგენლობაში არ დააყენა. ჩანაწერში ნიშნიანიძე ფეხბურთელების მკვლელობა-დასახიჩრებით იმუქრება. ჩანაწერის გავრცელებიდან მალევე, განცხადება გაავრცელა ყაზაიშვილმაც, რომელმაც განაცხადა, რომ მზად იყო, ფედერაციის ნებისმიერი გადაწყვეტილება მიეღო და ჩანაწერში გაჟღერებული ამბები მისთვის კატეგორიულად მიუღებელი გახლდათ. მალევე, ეროვნული ნაკრების თავკაცმა, ნაკრების შემადგენლობა მორიგი მატჩისთვის დაასახელა და იქ ყაზაიშვილი საერთოდ ვერ მოხვდა. სავარაუდოდ, ეს იყო პასუხი მუქარაზე და რეალურად, სწორედ ნიშნიანიძის განცხადების შემდეგ, ყაზაიშვილის სანაკრებო კარიერა, უბრალოდ, დასრულდა.

ყველაფერი ეს კი იმიტომ გაგახსენეთ, რომ ჩვენი ინფორმაციით, გასულ კვირას, ნოდარ ნიშნიანიძე ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში დააკავეს. დაკავება სწორედ ინტერპოლის თანამშრომლების მხრიდან მოხდა და ახლა საინტერესო ის არის, სად მოახდენენ მის ექსტრადაციას.

ოფიციალურად, ნიშნიანიძე უკრაინაში ჩადენილ მკვლელობაშია ეჭვმიტანილი და ინტერპოლიც უკრაინელი სამართალდამცავების მოთხოვნის საუძველზე ეძებდა, თუმცა დღეისთვის, უკრაინაში არსებული საომარი ვითარების გამო, კრიმინალების დევნა და სასამართლოების გამართვა, ცოტა არ იყოს, გაჭიანურებული და შეფერხებულია.

მეორე მხრივ, საქართველოში მისი ექსტრადაციის საფუძველი არ არსებობს, რადგან ქართული მხარე უკრაინაში ჩადენილი დანაშაულისთვის ვერ გაასამართლებს. მოკლედ, ამბავი ძალიან ჩახლართულია და ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ცალკე – ინტერპოლი და ცალკე – უკრაინული მხარე.

ჩვენი წყარო გვეუბნება, რომ დაკავებას შემთხვევით გადაურჩა ლაშა სიხარულიძე, თუმცა ინტერპოლი მის კვალზეც გასულია და მალანიას მკვლელობაში მეორე ეჭვმიტანილის დაკავება დროის ამბავია. ვნახოთ, რა მოხდება და როგორ ივარგებს ინტერპოლი სიხარულიძის შემთხვევაში.

* * *

ახლა, რაც შეეხება საქართველოში მიმდინარე პროცესებს. სამწუხაროდ, მთავარ გამოწვევად კვლავ ნარკოტიკული საშუალებების გავრცელება ხდება. ნარკოტიკული ნივთიერება იყიდება ყველგან და ხელმისაწვდომია ყველასთვის. სხვადასხვა აპლიკაციასა თუ სოციალურ ქსელში, ყოველდღიურად ახალ-ახალი ჯგუფები ემატება, სადაც ნარკოტიკებით ღიად ვაჭრობენ და ვაღიაროთ, რომ ამ პირობებში, საქართველოს კი არა, მსოფლიოს სამართალდამცავთა ნებისმიერი სტრუქტურა უძლურია. საქმე ის გახლავთ, რომ ჯგუფების „გატეხვას“ და იმის გარკვევას, თუ ვინ დგას მათ უკან, არაერთი დღე სჭირდება და კვალი, ყველა შემთხვევაში, უცხოეთში მიდის. იქ კი, მდგომარეობა რთულდება, კონკრეტულად რომელი ქვეყანა და რომელი ქალაქია, ძნელი გასარკვევია და თუ ესეც ირკვევა, შემდეგ უკვე... ჯგუფი ქრება ინტერნეტსივრციდან და ახალი ჯგუფი იქმნება, რომლის გარშემოც იწყება მუშაობა და ასე დაუსრულებლად. ეს პრობლემა არა მარტო ქართველ ძალოვნებს აწუხებთ, არამედ, მსოფლიოს ყველა პოლიციელმა იცის, რომ ამ ჯგუფების გაშიფვრა და სააშკარაოზე გამოყვანა ძალიან ძნელია. როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ, სამართალდამცავების ხელში მხოლოდ კურიერები ვარდებიან ანუ ის ხალხი, რომლებიც დავალებას ასევე ინტერნეტით იღებენ, ინტერნეტის მეშვეობით ერიცხებათ ფულიც და რისკავენ... ჰო, პატარა გოგო-ბიჭები რისკავენ და ნარკოტიკებს მითითებულ ადგილზე დებენ, მერე კი, როცა ძალოვნების ხელში ჩავარდებიან, აღმოაჩენენ, რომ ამ ქმედებისთვის, გისოსებს მიღმა, შესაძლოა, 20 წელი გაატარონ.

იყო შემთხვევა, როცა სამართალდამცავებმა ნარკოტიკების გასაღებაზე პენსიონერიც კი დააკავეს, რომელსაც შვილიშვილმა ურჩია, „სარფიანი საქმით“ დაკავებულიყო და პენსიის ოდენობის თანხა, შესაძლოა, ერთ დღეში გამოემუშავებინა. ჰოდა, დადიოდა ის პენსიონერი ჩვეულებისამებრ სკვერში, დებდა ნარკოტიკს, უღებდა სურათს და აგზავნიდა შვილიშვილის ტელეფონზე აპლიკაციას ანუ ატარებდა პროცესს, რომელიც მას შვილიშვილმა აუხსნა და ასწავლა, მაგრამ ის კი აღარ უთქვამს, რომ თუ დაიჭერდნენ, მთელი დარჩენილი ცხოვრება, შესაძლოა, გისოსებს მიღმა გაეტარებინა და... სავარაუდოდ, ასეც მოხდება...

* * *

ტურიზმის სეზონის პიკი გვიდგას და წვრილ-წვრილმა დანაშაულმა ზღვისპირეთში გადაინაცვლა. უკვე არა ერთი და ორი ტურისტი „აყვირდა“ იმის გამო, რომ დაკარგა პლანშეტი, ნოუთბუქი, ტელეფონი... პლანშეტებსა და ნოუთბუქებს კარგი ფასი აქვს და მარტივად იყიდება, აი, ტელეფონებს კი, მხოლოდ ნაწილებისთვის თუ აბარებენ ხელოსნებთან და ისინიც ძალიან ცოტას იხდიან, რადგან ზუსტად იციან, როგორც ტელეფონს, ისე ვერ გაყიდიან, ნაწილები კი... 1 500-ლარიან ტელეფონში ხელოსნები 100 ლარზე მეტს არ იხდიან და ამიტომ, მათი მოპარვა პრიორიტეტული არ არის და აქცენტი ისევ პლანშეტებსა და ნოუთბუქებზე კეთდება.

* * *

სამართალდამცავებისთვის კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაული. სწორედ ამას ვგულისხმობდით, როცა შესაბამისი კანონის შესახებ ვსაუბრობდით. დროა, ხელისუფლებამ გადამჭრელი ზომები მიიღოს და მიიღოს მტკივნეული გადაწყვეტილება, რომელიც პასუხისმგებლობას არასრულწლოვნებსაც დააკისრებს. სხვაგვარად კი, რა გამოდის – ჩაიდენს არასრულწლოვანი დანაშაულს, დააკავებენ და იძულებულნი არიან, ორ საათში, ხელწერილის დაწერის შემდეგ, უბრალოდ, გაუშვან, ასეთი ხელწერილი, ზოგ არასრულწლოვანს ათეულობით აქვს დაწერილი. ისინი ძირითადად მაღაზიების ვიტრინების ჩალეწვით და იქიდან ნივთების გამოტანით არიან დაკავებული, თუმცა თუ აქამდე მხოლოდ ტექნიკის მაღაზიებს ერჩოდნენ, ახლა მათი მოქმედების არეალი გაფართოვდა და არც ქსელურ სასურსათო მარკეტებზე ამბობენ უარს. ჩატეხავენ ვიტრინას და სანამ ადგილზე დაცვის პოლიცია მივა, მანამ მიაქვთ სიგარეტი, ძვირდაღირებული ალკოჰოლური სასმელები. თუ დააკავეს, პრობლემა არ არის, ხელწერილს დაწერენ, თუ ვერ დააკავეს და მოპარულს შეირგებენ, ნაწილს თავად მოიხმარენ, ნაწილს გაყიდიან და რამდენიმე დღე ჯიბის ფული გაუჩნდებათ. სწორედ ამიტომ არის, რომ განსაკუთრებით გარეუბნებში მდებარე ქსელური მარკეტების წინ, სამართალდამცავები პაატრულირებენ და მთელი ღამე მათ კართან ათენებენ. ეს უსაფრთხოების გარანტია სულაც არ გახლავთ, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ვიდეო, რომელიც რამდენიმე თვის წინ, მაღაზიაზე დამონტაჟებულმა კამერამ გადაიღო. სამი არასრულწლოვანი მაღაზიის ვიტრინას უახლოვდება, ორი ადგილზე რჩება, ერთი კი იმ მანქანის კართან დგება, რომელშიც პატრულის თანამშრომელი თვლემს. ვიტრინის ჩატეხვის ხმაზე, პოლიციელს ეღვიძება, მანქანიდან სასწრაფო წესით გადმოდის და ამ დროს, კისერში მესამე არასრულწლოვანის მიერ მოქნეული რკინის ნაჭერი ხვდება. საბედნიეროდ, თავდამსხმელს ძალა არ ეყო იმისთვის, რომ პოლიციელი ერთი დარტყმით გაეთიშა და როგორც კი სამართალდამცავი მისკენ მიბრუნდა, მან რკინის ნაჭერი დააგდო და გაიქცა. პოლიციელი იმ ორს დაედევნა, რომელიც მშვიდად ელოდა ჩამსხვრეულ ვიტრინასთან, როგორ გათიშავდა მათი „პადელნიკი“ ძალოვანს, მაგრამ როგორც კი დაინახეს, რა მოხდა, ისინიც გაიქცნენ. პოლიციელმა ორივე ადგილზე დააკავა, მესამე, რომელმაც კეტი მოიქნია, მოგვიანებით, ადვოკატმა თავად მიიყვანა და მიიყვანა იმიტომ, რომ ხელწერილი დაეწერა და გაეშვათ. ჰოდა, ახლა, როგორ გგონიათ, რა ხასიათზე იქნება ის პოლიციელი, რომელსაც თავს დაესხნენ, ვინ იცის, მოსაკლავადაც გაიმეტებდნენ, რომელმაც დამნაშავეები დააკავა და... ისინი იმის გამო გაუშვეს, რომ არასრულწლოვნები არიან.

ამ ქვეყანაში, პირველ რიგში, დაცულები სამართალდამცავები უნდა იყვნენ, რათა მათ შემდეგ ჩვენ, რიგითი მოქალაქეები დაგვიცვან, თორემ სხვანაირად არაფერი გამოვა. ამიტომ ვამბობთ, რომ პარლამენტმა, რაც შეიძლება მალე უნდა მიიღოს შესაბამისი კანონი, რომ იმავე არასრულწლოვანმა კარგად იცოდეს, მის ქმედებას, შესაძლოა, ციხე მოჰყვეს, ციხის კი ყველას, აბსოლუტურად ყველას ეშინია.

კრიმინალური ავტორიტეტის დედის საყვარელმა „ობშჩიაკი“ მოიპარა

„ვაღიარებ, რომ იმ არაკაცს თავში ბოთლი მე ჩავარტყი, მაგრამ“...

ბათო ჯაფარიძე

„ობშჩიაკი“ – სიტყვა, რომელიც კრიმინალურ სამყაროში წმინდაა. არაერთი „კანონიერი ქურდი“ გაუჩერებიათ იმის გამო, რომ „ობშჩიაკიდან“ ფული მოიპარა. ზოგადად, ციხეში არსებულ „ობშჩიაკს“ ძნელია, რამე მოაკლო იმიტომ, რომ გარეთ ვერ გამოიტან, იქ კი ვერ გამოიყენებ ისე, როგორც თავისუფლებაზე. აი, ის ხალხი კი, ვისაც „სვაბოდაზე“ „ობშჩიაკი“ აქვთ მიბარებული, ცდუნებას ვერ უძლებენ და ფულს იპარავენ. ზოგი „ნაგლად“ იპარავს და იმალება, ზოგი კი, ფიქრობს, რომ „ობშჩიაკის“ ფულით ბიზნესს დაატრიალებს, მერე თანხას დააბრუნებს და... ყველაფერი ეს, ხშირ შემთხვევაში, მკვლელობით თუ არა, სხეულის უმძიმესი დაზიანებით აუცილებლად სრულდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ობშჩიაკიდან“ დაუკითხავად ფულის აღება იმ შემთხვევაშიც კი ისჯება, თუ უკან ორმაგს და სამმაგს დააბრუნებ. აი, ოფიციალურად რომ ითხოვო „ობშჩიაკის“ ფული და ბიზნესი დაიწყო, თუ დაგთანხმდნენ „კანონიერი ქურდები“, შავ დღეში ვარდები – თუ ბიზნესი არ გაამართლებს, ფული დასაბრუნებელია და თან ნამატით, ხოლო თუ გაამართლებს, ფული მაინც დასაბრუნებელია და პარალელურად, მთელი მომდევნო პერიოდი, მოგების 20%-ს სწორედ „ობშჩიაკში“ იხდი. მერე კი, თუ კრიმინლებს ძალიან მოეწონებათ თქვენი ბიზნესი, შესაძლოა, საერთოდ წაგართვან და ყველაფრის გარეშე დაგტოვონ. ასე ყოფილა, ასე არის და ასე იქნება მანამ, სანამ „კანონიერი ქურდები“ არ გაქრებიან და მთთან ერთად, არ გაქრება „ობშჩიაკის“ ცნება, „კაი ბიჭების“ ცნება, „მაყურებლების“ ინსტიტუტი...

პოლიციის განყოფილებაში ქალმა დარეკა კივილით, ჩემი შვილი მოკლეს, მიშველეთო. ადგილზე მისულ საპატრულო ეკიპაჟს ახალგაზრდა კაცი თავგატეხილი დახვდა, დედა იქვე იყო და კიოდა, მეზობლები კი... მეზობლები მოშორებით იდგნენ და თითქოს მიკარებას ვერ ბედავდნენ. სასწრაფო დახმარების ბრიგადა საპატრულო ეკიპაჟს ფეხდაფეხ მიჰყვა, ექიმმა ჩუმად ჩაილაპარაკა, პულსი ესინჯება, გადარჩენის დიდი შანსიაო და ბიჭი ჯერ მანქანაში, შემდეგ კი საავადმყოფოში გააქანეს. დაზარალებულის დედას საავადმყოფომდე მიყვანა პატრულის თანამშრომლებმა შესთავაზეს და თან ეს კარგი საშუალება იყო, მისთვის კითხვები დაესვათ.

„ზუსტად ვიცი, ვინ ჩაიდინა დანაშაული. მაგ ბინაში გოგო ცხოვრობდა ქირით, ჩემმა შვილმა ორი დღის წინ, სახლში ჩანთით ფული მოიტანა, მისმა ბიზნესმენმა მეგობარმა მიაბარა და უნდა წაეღო. ჰოდა, იმ გოგომ ნახა ჩანთა და წაიღო, სხვა ამას ვინ იზამდა? ახლა სახლში არც ის ჩანთაა და არც ის გოგო“, – სახლის მეპატრონე ცოტა არეულად საუბრობდა, მაგრამ ეჭმიტანილის სახელი, გვარი და სამსახურის მისამართი კი დაასახელა. სანამ პოლიციელთა ერთი ნაწილი გოგონას მოსაძებნად იყო წასული, მეორე ნაწილი დაზარალებულის ვინაობას არკვევდა. გოგონა მალე აიყვანეს და როცა უთხრეს, რის გამო დააკავეს, თავი ჩაღუნა, არ მეგონა, თუ იჩივლებდა, ბოლომდე ნაძირალა ყოფილაო.

„ჰო, ვაღიარებ, რომ იმ არაკაცს თავში ბოთლი მე ჩავარტყი, მაგრამ აბა, რა უნდა მექნა? გაუპატიურებას მიპირებდა. მაგის გამო, გუშინ და დღეს სახლში აღარ მივსულვარ, თანამშრომელთან ვრჩები“, – თქვა გოგონამ და გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს. ეჭვმიტანილის ჩვენებით, მან დაზარალებულს თავში ბოთლი ორი დღის წინ ჩაარტყა და მას შემდეგ აღარ უნახავს. რაც შეეხება გამქრალ ჩანთას და ფულს, იმ დღეს მომხდარ ინციდენტს, ქალს საერთოდ არაფერი სმენოდა და ძალოვნებს პირდაღებული უსმენდა.

„რა ვქენი? დღეს კი არა, გუშინწინ რომ წამოვედი, იმის შემდეგ, მაგ უბანში არც კი გამივლია. დღესაც, მთელი დღე სამსახურში ვიყავი და ამას ბევრი თანამშრომელი დაადასტურებს. მოკლედ, გეტყვით, როგორ მოვხვდი ბინაში, იმ არაკაცთან ერთად. სამი თვის წინ, ქმარს ვეჩხუბე და სახლიდან წამოვედი. წასასვლელი არსად მქონდა, ამიტომ ბინა ვიქირავე. „ხაზეიკა“ იმავე სართულზე ცხოვრობს, ორ-ოთახიანში, სამ-ოთახიანს კი აქირავებდა. უფრო ზუსტად, სამ-ოთახიანის ერთ ოთახს, ორი დაკეტილი ჰქონდა. მერე, მოულოდნელად, მისი შვილი გამოუშვეს ციხიდან, „ხაზეიკამ“ ჩემთან ვერ ვაცხოვრებ, მამაკაცი მაკითხავს ხოლმე და შვილი ამას ვერ აიტანსო, ბინა დამიცალეო. არადა, სამი თვის ქირა მქონდა მიცემული. გადაწყდა, რომ იმ ორ ოთახს გააღებდა, იქ მისი შვილი იცხოვრებდა, ჩემს ოთახში – მე, სამი თვის მერე კი წავიდოდი. მე სახლში არ ვარ ხოლმე, მარტო დასაძინებლად მივდივარ, თან ოთახის კარი იკეტება და ამიტომ დავთანხმდი. თუმცა, მერე ისე გამოვიდა, რომ ვაჟბატონმა ღამე ჩემთან დაძინება მოინდომა და როგორი გაგრძელებაც ჰქონდა ამ ამბავს, უკვე გითხარით. მართლა არ ვიცი, მოსაკლავად ვინ გაიმეტა და იმედია, გადარჩება, მერე კი იტყვის, რომ მეორე თავდასხმა მე არ განმიხორციელებია“, -განაცხადა ქალმა.

ამასობაში, ექსპერტმა დაადასტურა, რომ მამაკაცს ადრინდელი დაზიანებაც აღენიშნებოდა ანუ დაკავებული მართალს ამბობდა, მაგრამ ვინ იყო მეორე თავდამსხმელი, სად გაქრა ფული და რაც მთავარია...

„დაზარალებული ციხიდან სამი დღის გამოსულია. გამოდის, რომ სამ დღეში უზარმაზარი თანხა იშოვა. როგორ და საიდან, ეს არის საინტერესო და ისიც საინტერესოა, ვადაზე ადრე გათავისუფლება რატომ შეახეს კაცს, რომელსაც კრიმინალურ სამყაროში სერიოზული გავლენა აქვს, ზონაზეც ქურდულად ცხოვრობდა და ვადაზე ადრე არ უნდა გამოსულიყო“, – გამომძიებლებს ბევრი თავსატეხი ჰქონდათ.

ყველაფერთან ერთად, აგენტურული ქსელიც ამუშავდა, როგორც გარეთ, ისე – ციხეში და მალე ძალოვნებისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. პირს, რომელსაც ერთ-ერთი რეგიონის „ობშჩიაკი“ ებარა, ავტომობილი დაეჯახა და ადგილზე მოკლა. არადა, „ობშჩიაკში“ 200 ათასამდე ნაღდი ფული იყო და ამ ფულს პატრონი სჭირდებოდა. სად ინახავდა „ქურდულ საერთოს“ გარდაცვლილი, ორმა ადამიანმა იცოდა, თუმცა ორივე ციხეში იმყოფებოდა და გრძელვადიანი სასჯელის გამო, გარეთ ვერ გამოვიდოდნენ. აი, იმ პირს კი, რომელსაც ფული მოპარეს, თუ წაართვეს, სულ რაღაც სამი თვე ჰქონდა დარჩენილი და... ეჭვი გაჩნდა, რომ „უდო“-ს კომისიის წევრებმა ქრთამი აიღეს, თუმცა ეს ვერსია მალევე გამოირიცხა – კომისიის ყველა წევრის მოქრთამვა შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ ზემოდან დახმარების გარეშე, დაზარალებული ციხეს რომ ვერ დატოვებდა, ყველა ხვდებოდა, თუმცა ახლა დამნაშავე და ფული უნდა ეძებნათ, კორუმპირებული ჩინოვნიკი კი არსად გაექცეოდათ.

ამასობაში, ორი მეზობელი გამოჩნდა, რომლებიც ამტკიცებდნენ, დაზარალებულს მუდმივად ახლდა მამაკაცი, რომელიც მას ფეხდაფეხ დაჰყვებოდა, ვხვდებოდით, რომ უთვალთვალებდა, ალბათ, დაზარალებულიც ხვდებოდა, მაგრამ ეს ამბავი დისკომფორტს არ უქმნიდაო, თუმცა ის მამაკაცი სახლში არასდროს ასულა, ეზოში ელოდა ხოლმე დაზარალებულს და ისიც ამ ამბაავს მშვიდად აკვირდებოდა. ჰოდა, ეს ყველაფერი მეზობლებს იმიტომ გაახსენდათ, რომ ის კაცი ამჯერად საავადმყოფოს ეზოში ნახეს. იქ დაზარალებულის დედის გასამხნევებლად იყვნენ მისულები და მამაკაცი ეზოში ნერვიულად სცემდა ბოლთას. სამართალდამცავებმა მისი დაკავება გადაწყვიტეს და მართლაც, საავადმყოფოს ეზოში აიყვანეს. გადამოწმების შემდეგ გაირკვა, რომ ისიც ნასამართლევი იყო და მან ციხე ორი თვის წინ დატოვა. მას აყვანის დროს, იარაღიც უნახეს, ნაგანი – სავსე „ბარაბნით“ და ეს საკმარისი იყო მის ციხეში შესაბრუნებლად. გამომძიებელმა გარიგება შესთავაზა – შენ ყველაფერს მომიყვები, მე კი ამ იარაღზე მხოლოდ პირობითს მოგცემ და ისევ თავისუფლებაზე დარჩებიო. კაცს, რომელსაც 9 წელი „ოტ ზვანკა, დო ზვანკა“ ჰქონდა მოხდილი, თავისუფლება ძვირად უღირდა.

„ყველაფერი ისე მარტივად არ არის, როგორც თქვენ გგონიათ. ევროპაში მყოფმა ქურდება გადაწყვიტეს, რომ ეს ციხიდან გამოსულიყო, „ობშჩიაკი“ აეღო და შეენახა. დიდ ფულზეა საუბარი. მე კი, დამეევალა, რომ მას გვერდიდან არ მოვცილებულიყავი, რადგან „ობშჩიაკის“ ამბავი კიდევ ბევრმა იცოდა და თუ საჭირო იქნებოდა, დამეცვა და ვინმე ფულის „გაწევას“ თუ მოინდომებდა, მემოქმედა. ფული სახლში აიტანა, მერე კი, მოხდა ის, რაც მოხდა და მე ჩემი ეჭვმიტანილი მყავს – მგონია, რომ ჩანთა იმ გოგომ კი არა, დაზარალებულის დედის საყვარელმა წაიღო. უცხო სადარბაზოში არავინ შესულა და იმ კაცმა „ობშჩიაკის“ შესახებ იცოდა“, – განაცხადა დაკავებულმა.

მისივე თქმით, საავადმყოფოს ეზოში, ის დაზარალებულს კი არა, სწორედ მისი დედის საყვარელს ყარაულობდა, რომელსაც ჭირისუფლის როლი ჰქონდა მორგებული და ქალს არ შორდებოდა. ძალოვნებმა დაკავებული პატიმრობაში დატოვეს, თვალთვალი კი თავად დაიწყეს და იმავე საღამოს, საავადმყოფოდან გამოსულ კაცს უკან გაჰყვნენ. ის სახლში მივიდა, ნახევარ საათში, ეზოში ტაქსი გაჩერდა. მძღოლთან გასაუბრების შემდეგ, ოპერებმა გაარკვიეს, რომ ტაქსი სწორედ ეჭვმიტანილმა გამოიძახა. მძღოლს მარტივად აუხსნეს, რა ხდებოდა, ის მანქანიდან გადმოსვეს და საჭესთან ოპერმუშაკი დაჯდა. მამაკაცი სადარბაზოდან მოზრდილი სპორტული ჩანთით გამოვიდა, ჩანთა უკანა სავარძელზე დადო, წინ თავად დაჯდა და მოკლედ მოჭრა – „ვაგზალზე“! „ტაქსის მძღოლმა“ გზად ბენზინგასამართ სადგურზე გააჩერა, აქაოდა, საწვავი უნდა ჩავისხაო, მანქანა ჩააქრო და ეჭვმიტანილი მშვიდად, ხმაურის გარეშე აიყვანეს. ჩანთაში „ქურდული ობშჩიაკი“ იდო.

ერთადერთი, რასაც დაკავებული მოსამართლეს სთხოვდა, ის იყო, რომ ჩვეულებრივ ზონაზე არ გაეშვათ, რადგან ზუსტად იცოდა, რა ელოდა „ობშჩიაკის“ მოპარვისთვის. ამოღებული ფული ბიუჯეტში გადაირიცხა, ბიუჯეტიდან კი, სრულად სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ჩაურიცხეს.

ბათო ჯაფარიძე

როცა ოჯახი ინგრევა, ყველაზე დიდ ტრავმას ბავშვი იღებს. ჰო, არცთუ იშვიათად, მშობლები ვერ წყვეტენ, ვისთან უნდა დარჩეს შვილი და ისინი სასამართლოს მიმართავენ ხოლმე. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ როგორც წესი, სასამართლო ბავშვებზე მეურვეობას დედას უტოვებს და ამ დროს გენდერული თანასწორობა და მსგავსი ამბები არ მოქმედებს – საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებაა, რომ დედა ბავშვს უკეთესად მოუვლის. თუ მშობლები ცუდ ურთერთობას ინარჩუნებენ, ეს ბავშვებზე ცუდად მოქმედებს, თუმცა ხშირად არც კარგი ურთიერთობაა ბავშვისთვის გამოსავალი – ის ხვდება, რომ რაღაც ისე არ არის, რომ სრულფასოვანი ოჯახი არ აქვს და ეს, გარკვეულწილად, მის ფსიქიკას ტრავმას აყენებს.

ვინ არის ბებია, რომელიც შვილიშვილს სასტიკად სცემდა

რატომ დასწამა ქმარმა ყოფილ ცოლს ცილი და რა აღიარებითი ჩვენება მისცა ძიძამ გამოძიებას

მილიციის განყოფილებაში მამაკაცი მივიდა და იჩივლა, რომ სასამართლო არასწორად მოიქცა და შვილი მის ცოლს დაუტოვა. ეს მაშინ, როცა ქალი სვამდა, მუდმივად მთვრალი იყო და ბავშვს სცემდა კიდეც. მამაკაცი ჩიოდა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, შვილს მომიკლავს და ეს თქვენი ბრალი იქნებაო. სამართალდამცავებს სხვა გზა არ ჰქონდათ, საქმე უნდა აღეძრათ, რადგან საჩივარი ოფიციალურად იყო შესული და იმის მიუხედავად, რომ სასამართლოს განაჩენი უკვე დამდგარი იყო, იძულებულნი იყვნენ, ყველაფერი მაინც გადაემოწმებინათ. პირველ რიგში, დედა უნდა ენახათ და დაეკითხათ, შემდეგ კი, ბავშვიც დაეთვალიერებინათ, რადგან საეჭვო იყო, 3 წლის ბავშვს რამე საინტერესო ეთქვა გამოძიებისთვის და რომც ეთქვა, მის სიტყვებს არცერთი მოსამართლე გაითვალისწინებდა.

ქალის დანახვისთანავე, გამომძიებელმა იფიქრა, რომ მამაკაცი სწორად ჩიოდა. ბავშვის დედას ჩავარდნილი თვალები ჰქონდა, წაშლილი სახე და ძალოვანმა დაასკვნა, რომ ეს სწორედ ლოთობის შედეგი იყო.

„ორ ადგილზე ვმუშაობ, რადგან ბავშვს ბევრი რამ სჭირდება, ბინა ნაქირავები მაქვს, ძიძაც ავიყვანე, როცა ღამე მიწევს მორიგეობა, ბავშვთან რომ დარჩეს. ცოტა გადაღლილი კი ვარ, მაგრამ მპირდებიან, რომ ექვს თვეში, სახელმწიფო ერთ ოთახს მოგვცემს და მერე მხოლოდ ერთ სამსახურში ვიქნები, ბავშვს ბაღში მივიყვან და ადამიანურად ვიცხოვრებ“, – თქვა ქალმა და როცა გაიგო, რომ ბრალს ლოთობაში სდებდნენ, გაეღიმა, შეგიძლიათ, მეზობლები დაჰკითხოთო.

მეზობლების დაკითხვამ ორი დღე წაიღო და ყველა აღიარებდა, რომ ქალი ნასვამი არასდროს უნახავთ. პირიქით, ის ბავშვს თავზე ევლებოდა და ცდილობდა, მისთვის არაფერი მოეკლო. რაც შეეხება ცემას, მეზობლებს არც ის დაუნახავთ, დედა შვილს ფიზიკურად რომ შეხებოდა და არც ბავშვის განწირული ტირილი გაუგონიათ სახლიდან. მაშ, რაში სჭირდებოდა მამას ყველაფერ ამის მოგონება? გასაგებია, შეიძლება, ბავშვი უყვარდა, მაგრამ დედისთვის ასეთი ბრალდების უმიზეზოდ წაყენება მორალში არ ჯდებოდა.

„ის ყველას ატყუებს, მეზობლებსაც, ძიძასაც. შეამოწმეთ და ნახავთ, რომ სისხლში ალკოჰოლის ჭარბი შემცველობა იქნება“, – არ ცხრებოდა მამა და იმის მიუხედავად, რომ ბავშვს ნაცემის არაფერი ეტყობოდა, მაინც გადაწყდა, დედას ანალიზები ჩაებარებინა. ანალიზის შედეგად, სისხლში ალკოჰოლის შემცველობა არ აღმოჩნდა და საქმე დასახურად უნდა გაემზადებინათ, როცა... ძიძას ბავშვი მაშინ გასტაცეს, როცა სახლთან ახლოს მდებარე სკვერში ასეირნებდა. ძიძა ამბობდა, რომ მას ვიღაც ქალი მიუახლოვდა, ხელი ჰკრა, შემდეგ კი ეტლიდან ბავშვი ამოიყვანა და გაიქცა. ძიძა დაიბნა, გაკიდება ვერ მოახერხა და მხოლოდ იმის შემჩნევა შეძლო, რომ ქალი თეთრ ავტომობილში ჩაჯდა და გაუჩინარდა. ჰო, საჭესთან მამაკაცი იჯდა, რომლის სახეც ძიძამ ვერ დაინახა. სამართალდამცავები ვერ ხვდებოდნენ, ვინ და რატომ დაინტერესდა ასე ბავშვით და პირველ რიგში, მამას მიაკითხეს.

„ვიცი, ბავშვი რომ მოიტაცეს და მეტიც, ეს მე და დედაჩემმა გავაკეთეთ. ეს ბავშვი მომდევნო ექვსი თვე ჩვენთან იცხოვრებს, მერე კი, თუ მოუნდება, დედამისს დავუბრუნებთ“, – განაცხადა მამამ. რა მოუნდებოდა 3 წლის ბავშვს ექვსი თვის მერე, სასაცილო წარმოსადგენი იყო. ის მშვიდად იჯდა ოთახში და წინ დაყრილ უამრავ სათამაშოს ინტერესით ათვალიერებდა. ბავშვის ბებიაც იქვე იყო და შვილიშვილს სიყვარულით აღსავსე თვალებით შესცქეროდა. რა თქმა უნდა, ბავშვის დედა მალე მოვარდა, ისტერიკა დაემართა და ბავშვს ხელი დაავლო. ამ დროს კი, დედამთილმა იყვირა, შვილიშვილს არ გაგატან, ცემაში მოკლავ, საწყალ ბავშვს მთელი სხეული დალურჯებული აქვსო. დედამ იქვე, სამართალდამცავების თანდასწრებით გახადა ბავშვს სამოსი და მართლაც, მას რამდენიმე ადგილზე სერიოზული სისხლჩაქცევები ჰქონდა.

„ეს... ეს მე არ მიქნია. ღმერთო, რა უქენით ჩემს შვილს“, – აკივლდა ქალი, მაგრამ სანამ სიმართლე არ გაირკვეოდა, მისთვის ბავშვის გატანება სარისკო იყო. ამასობაში, ადგილზე, საიდანღაც ძიძაც მივიდა და... „ჰო, ბავშვი დედამ სცემა“, – ჩუმად თქვა მან და თავი ჩაღუნა. ეს უკვე სერიოზული ბრალდება იყო და რაც მთავარია, გამოძიებას ძიძის სახით, მოწმეს ჰყავდა.

ბავშვი მამის ოჯახს დაუტოვეს, დედა კი დააკავეს. იმის მიუხედავად, რომ ქალი კიოდა, ყველაფერი მომიწყვესო, მას აღარავინ უსმენდა.

„წარმოდგენა არ მაქვს, რატომ თქვა ძიძამ ის, რაც თქვა. მე ბავშვი არასოდეს მიცემია და მეც ძალიან მაინტერესებს, საიდან აქვს მას ამდენი სისხლჩაქცევა და სილურჯე? ეგებ, რომ მოიტაცეს, მაშინ გაუჩნდა, მაგრამ... ძიძამ რატომ თქვა ის, რაც თქვა“, -დაკითხვაზე დედა აშკარად დაბნეული ჩანდა, მაგრამ გამოძიებას მეორე ოთახში ძიძა ეჯდა, რომელიც დეტალურად ჰყვებოდა, როგორ სცემდა პერიოდულად დედა შვილს, როგორ სვამდა თვეში ერთხელ მაინც, გონების დაკარგვამდე და ყველაფერ ამას, სამსახურის დაკარგვის შიშით ითმენდა და არ ამბობდა, მაგრამ...

„იმ დღეს, ბავშვი სასეირნოდ იმიტომ გამოვიყვანე, რომ სამსახურში წასვლამდე ძალიან, ძალიან მაგრად სცემა, მიზეზი კი ის გახლდათ, რომ თურმე, ღამე ბევრს ტიროდა და არ დააძინა, მას კი ძილი სჭირდებოდა. ძლივს გამოვაცალე ხელიდან და ეს პირველად არ მომხდარა“, – ამბობდა ძიძა.

სამართალდამცავება დედა ხელწერილის საფუძველზე გაუშვეს, ახალი სასამართლო უნდა ჩანიშნულიყო და სავარაუდოდ, საუკეთესო შემთხვევაში, დედას ბავშვის ჩამორთმევა და პირობითი სასჯელი არ ასცდებოდა, რაზეც ქალი, უბრალოდ, გიჟდებოდა და ამტკიცებდა, ყველაფერი მოწყობილია, მაგრამ ვერ ვხვდები, რისთვის სჭირდებათ ჩემი შვილი, რეალურად, არც მამა გიჟდება მასზე და დედამთილსაც მისთვის ერთი ღამე არ გაუთევიაო, მაგრამ ვერც იმას ასაბუთებდა, რატომ უნდა მიეცა ძიძას მის წინააღმდეგ ისეთი ჩვენება, რომელიც ციხის კართან მიიყვანდა. სასამართლო პროცესი ერთი თვის შემდეგ უნდა გამართულიყო. მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, დედა ყოფილი ქმრის ბინას უტრიალებდა და ცდილობდა ბავშვი დაენახა მაინც. მის მიერ დაქირავებული ძიძა, ამჯერად, ქმრის ოჯახმა წაიყვანა და ბავშვი მთლიანად მას ებარა.

„დედა, რომელიც შვილს სცემს, ასე არ იქცევა. რაღაც შეგვეშალა, რაღაც გაგვეპარა. ის ერთი სამსახურიდან წამოვიდა, მარტო ღამის სამუშაო დაიტოვა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დღისით, საათობით იდგეს, შვილს თვალი რომ მოჰკრას“, – ამბობდნენ გამომძიებლები.

წესითა და რიგით, სიმართლე ძიძას უნდა სცოდნოდა, მაგრამ ის თუ ჩვენებას შეცვლიდა, ცრუ ჩვენებისთვის ციხე არ ასცდებოდა. ამიტომ, სამართალდამცავებმა შემდეგი რამ მოიფიქრეს – ძიძას სახლთან დახვდნენ და პირობა მისცეს, სიმართლის შემთხვევაში, მას სასჯელს აარიდებდნენ, ხოლო მის ძმას, რომელიც ციხეში იჯდა, ვადაზე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობას მისცემდნენ. როცა საქმე ბავშვს ეხებოდა, კომუნისტების დროს, მილიცია ბევრ დათმობაზე მიდიოდა.

„ის საუკეთესო დედაა, ყველაზე კარგი, რომელიც მინახავს. რა თქმა უნდა, არც სვამდა და არც ბავშვი უცემია არასდროს. უბრალოდ, მისი ქმარი და დედამთილი, ერთ-ოთახიან ბინაში ცხოვრობენ და ბავშვი თუ მათთან იქნება, ორ-ოთახიანს მისცემენ. ეს არის ყველაფრის თავი და თავი. ბავშვი, რეალურად, დედამთილმა დაალურჯა, მე ფული მომცეს, რომ მეთქვა ის, რაც ვთქვი და ახლა მიხარია, რომ გავთავისუფლდი სინდისის ქენჯნისგან“, – ჩამოარაკრაკა ძიძამ.

ძიძის ჩვენების შემდგ, პირობითი მსჯავრი უკვე მამას მისცეს, ბავშვი დედას დაურბუნეს, დედამთილი კი... ბავშვის შეგნებულად ცემა-დალურჯებისთვის, ერთი წლით ციხეში გაისტუმრეს და ზედ სამწლიანი პირობითი სასჯელიც მიაბეს.

საგანგებო და კრიზისული სიტუაციების გაშუქების საკითხებზე მედია სემინარი დასრულდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) ორგანიზებით, საგანგებო და კრიზისული სიტუაციების გაშუქების საკითხებზე მედია საშუალებების წარმომადგენლებისთვის სემინარი ჩატარდა. მედია სემინარი ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და სხვადასხვა ტელეკომპანიის, საინფორმაციო სააგენტოებისა და რეგიონული მედიის ჟურნალისტები ესწრებოდნენ.

სწავლებას საერთაშორისო ექსპერტები უძღვებოდნენ და მიზნად ისახავდა მედია საშუალებების წარმომადგენლებისთვის კრიზისული კომუნიკაციის საფუძვლების, მედიის როლის, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტებისა და პროტოკოლების გაცნობას, შემდგომ მათი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით. აღნიშნული სემინარი გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPშ) ორგანიზებითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის – „ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“ – ფარგლებში განხორციელდა.

აღნიშნული პროექტი „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში (შAFE)“ – ინიციატივის ნაწილია და 2020 წლიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება. მისი მიზანია საქართველოს უსაფრთხოების სექტორში ჩართული სახელმწიფო უწყებების ეფექტიანი და ანგარიშვალდებული მმართველობის ხელშეწყობა.

აჭარის პოლიციამ გაუპატიურების ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქედის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ჯ.გ. გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ქედის მუნიციპალიტეტში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან, ძალადობის გამოყენებით სქესობრივი კავშირი დაამყარა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ჯ.გ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბრალდებულის სახით დააკავეს.

დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ ჩადენილი გაუპატიურების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

საპატრულო პოლიციამ სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისა და საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის ბრალდებით უცხო ქვეყნის ოთხი მოქალაქე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის, გადაკვეთის მცდელობის, საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის ორგანიზებისა და ყალბი დოკუმენტის გამოყენების ბრალდებით უცხო ქვეყნის ოთხი მოქალაქე დააკავეს.

დანაშაულები 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე – 1982 წელს დაბადებული ა.დ., თავისი მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომანქანით, ასევე, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეების: 1993 წელს დაბადებული ი.ო.-ს და 1999 წელს დაბადებული ქ.ჰ.-ს სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტის „სარფის“ გვერდის ავლით, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ გადმოყვანას ცდილობდა. პოლიციამ სამივე მათგანი საზღვრო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე დააკავა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თურქეთის რესპუბლიკის კიდევ ერთი მოქალაქე – 1990 წელს დაბადებული დ.ი. ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში იმ დროს დააკავეს, როდესაც ის ყალბი პასპორტის გამოყენებით საქართველოს დატოვებას ცდილობდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-344-ე, 344-ე, 24-344-ე პრიმა და 362 -ე მუხლებით მიმდინარეობს.

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ნაფიცმა მსაჯულებმა მკვლელობის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნეს

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ნაფიცმა მსაჯულებმა შურისძიებით ჩადენილ მკვლელობის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნეს. ამის შესახებ ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბრალდებულს სასამართლომ სასჯელის სახით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

„თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილეს საქმე, რომელიც შურისძიებით ჩადენილ მკვლელობას შეეხებოდა. სასამართლო პროცესზე დადგინდა, რომ ბრალდებული და დაზარალებული თავდაცვის სამინისტროს კრწანისის სამხედრო ბაზაზე ერთად მსახურობდნენ, რა დროსაც ისინი დამეგობრდნენ. 2023 წლის 27 დეკემბერს, ბრალდებულმა დაზარალებული შურისძიების მოტივით, პირადი უთანხმოების ნიადაგზე, საკუთარ მანქანაში, ცეცხლსასროლი იარაღიდან მრავალჯერადი გასროლით მოკლა.

პროკურატურამ, სასამართლო პროცესზე წარადგინა მტკიცებულებები, რომელთა ერთობლიობა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენას ადასტურებდა.

ნაფიცმა მსაჯულებმა ბრალდებული დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) და სასამართლომ მას სასჯელის სახით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდების ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულმა პირმა 1 524 223 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ ძირითად გადასახადს თავი განზრახ აარიდა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, რომელიც იყო ერთ-ერთი კომპანიის დირექტორი და ფაქტობრივი მფლობელი, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით, სისტემატურად ახდენდა შემოსავლების არასწორ დეკლარირებას, რა გზითაც, მან განზრახ თავი აარიდა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ ძირითად გადასახადს – 1 524 223 ლარის ოდენობით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ევროპაზე თამაშის მიუხედავად, ქართული საკლუბო ფეხბურთი ჭაობშია



საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, ევროპის ჩემპიონატზე თამაშით გაგვახარა და დაუვიწყარი ემოციები გვაჩუქა. ამის მიუხედავად, თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთი ისეთ დღეშია, ამაზე დაბლა ფიზიკურად ვერ დავეშვებით. მარტო ის რად ღირს, რომ ევროპის 55 ქვეყანას შორის, ჩვენი ჩემპიონატი 50-ე ადგილზეა ანუ ვართ იქ, სადაც არიან ქვყნები, რომლებიც სამოყვარულო ჩემპიონატებს ატარებენ და მათი კლუბები არაპროფესიონალი ფეხბურთელებით არიან დაკომპლექტებული.

ევროთასების ახალმა სეზონმა, როგორც ჩემპიონთა ლიგის, ისე ევროპა და კონფერენს ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებმა სტარტი აიღეს. ჩემპიონთა ლიგაზე მოქმედ ჩემპიონს, ბათუმის „დინამოს“ მეტოქედ ბულგარული „ლუდოგორეცი“ ერგო. ვერ ნახავდით გულშემატკივარს, რომელიც იტყოდა, რომ აჭარული კლუბი ბულგარეთში გამართულ შეხვედრაში ფრეს მაინც მიაღწევდა, ყველა აღიარებდა, რომ „დინამო“ მარცხისთვის იყო განწირული და ასეც მოხდა – ბულგარეთში 1-3 წავაგეთ და ეჭვი გვაქვს, უკეთესი შედეგი არც საპასუხო მატჩში გვექნება. თანაც, 90 წუთის განმავლობაში, ბათუმის ფეხბურთელებმა მეტოქის კარში მხოლოდ ერთხელ დაარტყეს.

„ჩვენ ქართული ფეხბურთის გიგანტს მოვუგეთ. თბილისის „დინამოს“ ბიუჯეტი 25 მილიონი ევროა, ეს კი, ზუსტად 50-ჯერ (!!!) მეტია, ვიდრე ჩვენი ბიუჯეტი. განმეორებითი მატჩის წინ, ძალიან დიდი იმედებით ვართ“, – ეს განცხადება მონტენეგროს კლუბ „მონრარის“ მწვრთნელს ეკუთვნის, რომელმაც საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი 2-1 დაამარცხა და... „მონრარი“ 101 წელია არსებობს, პირველად გავიდა ევროთასებზე და პირველივე შეხვედრაში ისტორია დაწერა – მოიგო და მოიგო თბილისის „დინამოსთან“.

ყველაზე დიდი იმეედი ქუთაისის „ტორპედოსი“ გვქონდა, რადგან ამ კლუბში დიდი ინვესტიციები ჩაიდო და მარტო ის რად ღირს, რომ „რამაზ შენგელიაზე“ „ტორპედომ“ მატჩი 7 ლეგიონერით დაიწყო და მხოლოდ ოთხი ქართველი იყო ძირითადში. შეხვედრა კი... მაინც ფრედ, 1-1 დასრულდა და ახლა ქუთათურებს ალბანეთში უმძიმესი გასვლითი შეხვედრა აქვთ ჩასატარებელი. რატომღაც გვგგონია, რომ შარშანდელივით, შარშანწინდელივით, იმისწინდელივით და კიდევ იმის, იმის, იმის (და ასე დაუსრულებლად) წინდელივით, ჩვენთვის ზაფხულში დაწყებული ევროთასების გათამაშება, ზაფხულშივე დასრულდება და მერე ნუ გიკვირთ ხოლმე, საქართველოს ჩემპიონატში, მატჩების აბსოლუტურ უმრავლესობას, 100 კაციც რომ არ ესწრება.

საქართველო ოლიმპიადისთვის დაირაზმა

26 ივლისს, პარიზში, ოლიმპიური თამაშები აიღებს სტარტს. ოლიმპიადა 11 აგვისტომდე გაგრძელდება და საინტერესოა, რომ წელს, ოლიმპიურ თამაშებზე პირველად ვიხილავთ „ბრეიქდანსს“ (?!), ხოლო სკეიტბორდი, სპორტული ცოცვა და სერფინგი უკვე მეორედ იქნება ოლიმპიადის საეობათა სიაში. ისე, სერფინგში შეჯიბრი ტაიტიზე გაიმართება, რომელიც საფრანგეთიდან 16 ათასი კილომეტრით არის დაშორებული. მთლიანობაში, 32 სახეობაში, მედლების 329 კომპლექტი გათამაშდება.

პარიზის ოლიმპიადაზე, 206 ქვეყნის 10 500-მდე სპორტსმენი იქნება წარმოდგენილი და არ გაგიკვირდეთ, რომ პატარა ქვეყნებს მხოლოდ ერთი სპორტსმენი თუ ეყოლებათ – მაგალითად, ანდორას. 588 სპორტსმენი ეყოლება ამერიკას, 33 სპორტსმენი ბელორუსსა და რუსეთს, თუმცა ამ ქვეყნების წარმომადგენლები, ნეიტრალური სტატუსით იქნებიან, აკრძალული აქვთ დროშისა და ქვეყნის დასახელების მაისურზე დატანა და გამარჯვების შემთხვევაში, მათ პატივსაცემად ოლიმპიური დროშა აღიმართება და ოლიმპიური ჰიმნი შესრულდება.

წელს, ოლიმპიადის ისტორიაში პირველად, გახსნის ცერემონია ოლიმპიურ სტადიონზე არ გაიმართება. სტადიონის სარბენ ბილიკზე გამოსვლის ნაცვლად, სპორტსმენები ნავებით, პატარა ფლოტილიით ჩამოივლიან მდინარე სენაზე.

საქართველო, ოლიმპიურ თამაშებზე, დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით, მერვედ წარსდგება და ანტირეკორდსაც დაამყარებს. საქმე ის გახლავთ, რომ წინა შვიდ შემთხვევაში, ყოველთვის იმაზე მეტი სპორტსმენი გვყავდა, ვიდრე წელს. რეკორდი 2016 წელს იყო, როცა რიოს ოლიმპიადაზე 40 ქართველი წარსდგა, ანტირეკორდი – 1996 წელს ატლანტას ოლიმპიური თამაშები, წელს კი, მხოლოდ 28 სპორტსმენით ვიქნებით წარმოდგენილი. ამის მიუხედავად, ოქროს არაერთი მედლის მოპოვების იმედი გვაქვს. რაც შეეხება სპორტსმენებს, საქართველო მედლებისთვის შემდეგ სახეობებში იბრძოლებს:

ძიუდო: გიორგი სარდალაშვილი, ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, ტატო გრიგალაშვილი, ლაშა ბექაური, ილია სულამანიძე, გურამ თუშიშვილი, ეთერ ლიპარტელიანი, ეთერ ასკილაშვილი, სოფიო სომხიშვილი;

თავისუფალი ჭიდაობა: გოდერძი ძებისაშვილი, ვლადიმერ გამყრელიძე, გივი მაჭარაშვილი, გენო პეტრიაშვილი;

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა: რამაზ ზოიძე, ლაშა გობაძე, რობერტ კობლიაშვილი;

ძალოსნობა: შოთა მიშველიძე, ირაკლი ჩხეიძე, ლაშა ტალახაძე;

კრივი: ლაშა გურული, გიორგი ყუშიტაშვილი;

ცურვა: ანა ნიჟარაძე, ნოე ფანცხავა;

მძლეოსნობა: ლიკა ხარჩილავა;

ბატუტზე ხტომა: ლუბა გოლოვინა;

ფარიკაობა: სანდრო ბაზაძე;

ტყვიის სროლა: ნინო სალუქვაძე.

დავითაშვილი „სენტ ეტიენში“ გადავიდა

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელების მიმართ ინტერესი ძალიან გაიზარდა. ჰოდა, გარდა იმისა, რომ უკვე განხორციელებულ ტრანსფერებზე დავწერეთ, ჯერი ახლა ტოპ-ტრანსფერებზე მიდგა. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ ზურიკო დავითაშვილიის გადასვლა „ბორდოდან“ „სენტ ეტიენში“ სუპერ-ტრანსფერი არ არის, მაგრამ ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ „სენტ ეტიენი“ საფრანგეთის ერთ-ერთი, ყველაზე ტიტულოვანი კლუბია, ქვეყნის ჩემპიონი ათჯერ გახდა, ქვეყნის თასი 6-ჯერ მოიგო და რაც მთავარია, კლუბის ოქროს ხანა უკავშირდება იმ პერიოდს, როცა იქ ლეგენდარული მიშელ პლატინი თამაშობდა.

„სენტ ეტიენი“ საფრანგეთის უძლიერესთა ლიგას ან უკვე გასული სეზონის ბოლოს დაუბრუნდა და კლუბის ხელმძღვანელობა ირწმუნება, ძველი დიდება უნდა დავიბრუნოთო. ჰოდა, როცა გუნდს ასეთი ამბიციური გეგმები აქვს და ერთ-ერთ საკვანძო მოთამაშედ შენს თანამემამულეს განიხილავს, გასახარია. დავითაშვილმა კლუბთან კონტრაქტი 2028 წლამდე გააფორმა და აქედანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად მოიაზრება.

კვარაცხელია არ იყიდება – „ნაპოლის“ 110 მილიონიც არ უნდა

იტალიური „ნაპოლის“ ახალი მთავარი მწვრთნელი, ანტონიო კონტე მუშაობას უკვე შეუდგა და ორი ტრანსფერიც განახორციელა. ჯერჯერობით, კლუბის პრეზიდენტი მის ყველა კაპრიზს ასრულებს და ასრულებს უმთავრესს – კონტეს ცოცხალი თავით არ სურს ხვიჩა კვარაცხელიას გასხვისება და გუნდის აწყობა ქართველი შემტევის გარშემო უნდა. ამის მიუხედავად, დანებებას არ აპირებს ფრანგული „პარი სენ ჟერმენი“, რომელსაც კვარა „რეალში“ წასული კილიან მბაპეს შემცვლელად ესახება და თუ პარიზელები თავიდან 80 მილიონს იხდიდნენ, ახლა თანხა 110 მილიონამდე ასწიეს, მაგრამ... დე ლაურენტისმა მაინც უარი თქვა და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ქართველი ლეგიონერი, ყველაზე ცოტა, 2025 წლის ზაფხულამდე, არსად წავა.

სამაგიეროდ, რადიკალურად შეიცვალა სიტუაცია ვიქტორ ოსიმენთან დაკავშირებით. თუ აქამდე, დე ლაურენტისი მასაც ხელშეუხებელ ფეხბურთელთა სიაში მოიხსენიებდა, კონტეს მისვლის შემდეგ, ოსიმენის გასხვისება არანირ პრობლემას არ წარმოადგენს და „ნაპოლი“ მზად არის, მას 130 მილიონად შეელიოს, თუმცა ამხელა თანხას არავინ იხდის. თუ კვარაცხელია მართლაც „ნაპოლიში“ დარჩება, ეს იმას ნიშნავს, რომ ახალ სეზონში მას ევროთასებზე ვერ ვიხილავთ და ასპარეზობა მხოლოდ იტალიის ჩემპიონატში, იტალიის თასზე და საქართველოს ნაკრებში მოუწევს, რაც ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს, მაგრამ... ჩემპიონთა ლიგას კვარა ძალიან რომ უხდება, ამას ყველა აღიარებს.

არაბიძე სამხრეთ კორეაში ითამაშებს

ალბათ, გახსოვთ, ევროპის ჩემპიონატის სტარტზე, ვილი სანიოლს ბევრი რომ აკრიტიკებდა, ნაკრებში გიორგი არაბიძე რატომ არ გამოიძახე, მასავით მოზომილი დარტყმა ნაკრებში თითქმის არავის აქვსო. რეალურად, გიორგი საქართველოს ეროვნული პირველობის გამორჩეული ფეხბურთელი იყო და სანიოლს ის ნაკრებში თავის დროზე დაძახებული ჰყავდა, მაგრამ მერე ინფორმაციამ გამოჟონა, ფრანგ სპეციალისტს ფეხბურთელის ხასიათი არ მოეწონაო. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ევროპირველობამ არაბიძის გარეშე ჩაიარა და იმედი გვქონდა, რომ გიორგი „ტორპედოს“ ევროთასებზე დაეხმარებოდა, მაგრამ მან კლუბი დატოვა და კარიერას სამხრეთ კორეაში გააგრძელებს.

„არაბიძემ და „ულსან ჰიუნდაიმ“ შეთანხმებას მიაღწიეს, კონტრაქტის დეტალები გაარკვიეს და ახლა მხოლოდ ფორმალური მხარეა მოსაგვარებელი. ჩვენ კაპიტნისა და ლიდერის გაშვება არ გვსურდა, მაგრამ ფეხბურთელის სურვილსა და განვითარებას ხელს ვერ შევუშლით“, – ამბობენ ქუთაისურ კლუბში.

ვინ არის ლამინ იამალი და რა შუაშია ლიონელ მესი

წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი ორი რამით დაამახსოვრდება გულშემატკივარს – საქართველოს ნაკრების მართაც გამორჩეული, ჟინიანი და ჯიგრიანი თამაშითა თუ ქომაგობით და ესპანეთის ნაკრების 16 წლის მოსწავლით, ლამინ იამალით, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე ყველა რეკორდი მოხსნა – ყველაზე ახალგაზრდა საგოლე გადაცემის ავტორი, ყველაზე ახალგაზრდა გოლის გამტანი და ა.შ. და მაინც, ვინ არის ლამინ იამალი და რას ნიშნავს, გოლის შემდეგ, მის მიერ გამოსახული ციფრი – 304? მოდით, მისი ბავშვობით დავიწყოთ. ფეხბურთელი ესპანეთში დაიბადა, მაგრამ მამა მაროკოელი ჰყავს, დედა კი – ეკვატორული გვინეიდანაა. მაროკოს ფეხბურთის ფედერაციამ ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ იამალს ქვეყნის ნაკრებში ეთამაშა, თუმცა მან საბოლოოდ ესპანეთი აირჩია. ამის მიუხედავად, ახალგაზრდა ვარსკვლავს ბუცებზე მაროკოს და ეკვატორული გვინეის დროშები აქვს გამოსახული ანუ ის თავის ფესვებს არ ივიწყებს. რაც შეეხება გოლის შემდეგ თითებით გამოსახულ ციფრს – 304-ს, საქმე ის გახლავთ, რომ იამალი როკაფონდაში ანუ კატალონიის ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ უბანში გაიზარდა, 304 კი ამ უბნის ე.წ. „ზიპ კოდია“. კიდევ ერთი ფოტო, რომელმაც სოციალური ქსელი წალეკა. ფოტოზე რამდენიმე თვის იამალი ლიონელ მესის უჭირავს ხელში და აბანავებს კიდეც. ფოტო 2008 წელს, სოლიდარობის კალენდრისთვის გადაიღეს. კატალონიური გამოცემა ამ კალენდარს ყოველ წელს უშვებს და მასში „ბარსელონას“ ფეხბურთელები ხშირად მონაწილეობენ. საინტერესოა, რომ მაშინ, მესისთან სურათის გადასაღებად, „ბარსამ“ ერთგვარი გათამაშება ჩაატარა, რომელიც... იამალის ოჯახმა მოიგო და ლეომაც ფოტო სწორედ მასთან გადაიღო.

„მე ახლა მკვდარი უნდა ვიყო“ – დონალდ ტრამპის სკანდალური დოსიე

მე-5 გვერდიდან

საგარეო პოლიტიკა

ტრამპის მმართველობის 4 წელი რამდენიმე დასამახსოვრებელი მოვლენით გამოირჩეოდა. მაგალითად, 2018 წლის 8 მაისს, ტრამპმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ აშშ ირანის ბირთვულ შეთანხმებას დატოვებდა. ტრამპის თქმით, ამ შეთანხმებას რეალური ძალა არ ჰქონდა. ამასთან, ექსპერტების შეფასებით, დიდი იყო ტრამპის როლი იმაში, რომ ისრაელი და არაბთა გაერთიანებული საამიროები სრული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე შეთანხმდნენ.

ტრამპმა ამ მოვლენას „ისტორიული მიღწევა“ უწოდა. შეთანხმება მიღწეული იქნა მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღით ადრე, ტრამპი ისრაელის პრემიერ-მინისტრ, ბენიამინ ნეთანიაჰუს და ბაჰრეინის მეფეს, ჰამად ბინ ისა ალ ხალიფას ესაუბრა.

გარდამტეხი იყო ტრამპის შეხვედრა ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინთან. დონალდ ტრამპი აშშ-ის პირველი პრეზიდენტია, რომელმაც სადემარკაციო ხაზი გადაკვეთა და ჩრდილოეთ კორეაში ფეხი დადგა. შეხვედრა მას შემდეგ ჩაინიშნა, რაც დემილიტარიზებულ ზონაში ჩასვლის სურვილის შესახებ, აშშ-ის პრეზიდენტმა ოსაკაში, დიდი ოცეულის სამიტის დასრულების შემდეგ განაცხადა. სადემარკაციო ზონაში ტრამპმა გადაკვეთა საზღვარი, რომელიც ორ ქვეყანას შორის მშვიდობისა და დიპლომატიური ურთიერთობების სიმბოლოა.

ამასთან, მისი პრეზიდენტობის დროს შეიცვალა ურთიერთობა ჩინეთთანაც. კერძოდ, ტრამპმა ქვეყანასთან სავაჭრო ომი წამოიწყო. პანდემიის გავრცელებათან ერთად კი, ქვეყნებს შორის ურთიერთობა უფრო გამწვავადა. დონალდ ტრამპი კორონავირუსის წარმოშობასა და მასობრივად გავრცელებას, სწორედ ჩინეთს უკავშირებს.

ისტორიულად მნიშვნელოვანი მომენტი იყო, როცა ტრამპს 2019 წლის დეკემბერში, აშშ-ის წარმომადგენლობითმა პალატამ იმპიჩმენტი გამოუცხადა. პრეზიდენტს ბრალი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და კონგრესისთვის გამოძიებაში ხელის შეშლაში ჰქონდა წარდგენილი. კერძოდ, ამის მიზეზი უკრაინის პრეზიდენტთან, ვოლოდიმირ ზელენსკისთან სატელეფონო საუბარი იყო, რა დროსაც ტრამპმა ზელენსკის უთხრა, რომ გამოძიება დაეწყო 2020 წლის არჩევნებში მისი იმ დროისთვის სავარაუდო კონკურენტის, ჯო ბაიდენისა და მისი შვილის, ჰანტერ ბაიდენის წინააღმდეგ. საბოლოოდ, ეს პროცესი იმით დასრულდა, რომ ამერიკის სენატმა დონალდ ტრამპი იმპიჩმენტის პროცედურის ფარგლებში გაამართლა.

ტრამპი და საქართველო

2017 წელს, ტრამპმა საქართველოს იმდროინდელ პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავთან დაკავშირებით, მისალოცი წერილი გამოუგზავნა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს უფლებას, თავად განსაზღვროს საკუთარი მომავალი.

„საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატია მსოფლიოსათვის კვლავ შთამაგონებელია“, – ეწერა წერილში.

ამასთან, 2017 წლის 8 მაისს, საქართველოს მაშინდელი პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, პრეზიდენტ ტრამპს თეთრ სახლში შეხვდა, რა დროსაც ტრამპმა აღნიშნა, რომ საქართველოს და ამერიკას მნიშვნელოვანი სტრატეგიული ურთიერთობა და პარტნიორობა აკავშირებთ.

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში, 2017 წელს, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ რუსეთის წინააღმდეგ ახალ სანქციებს დაუჭირა მხარი. გარდა ბევრი პრობლემური საკითხისა, დოკუმენტში საქართველოზეც იყო საუბარი. კერძოდ, კანონპროექტში ნათქვამი იყო, რომ რუსეთი კვლავ არ ასრულებს 2008 წლის აგვისტოში გაფორმებულ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, რომელიც საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანასთან ერთად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ჰუმანიტარული ჯგუფებისა და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის დაუბრკოლებელ შესვლას ითვალისწინებს.

2019 წელს, საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი ოფიციალური ვიზიტით აშშ-ში იმყოფებოდა. ის ნიუ იორკში, დონალდ ტრამპისა და პირველი ლედის, მელანია ტრამპის სახელით გამართულ დიპლომატიური მიღებას დაესწრო.

2020 წელს კი, როცა ამერიკის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა საქართველოს დამოუკიდებლობა მოულოცა, აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის პარტნიორობა უნდა გაგრძელდეს. ამასთან, ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ამერიკა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მხარდაჭერას განაგრძობდა.

და ბოლოს, უნდა ითქვას ისიც, რომ ტრამპი საქართველოში ჯერ კიდევ პრეზიდენტობამდე იმყოფებოდა. 2012 წელს, ის ქვეყანას სტუმრობდა, როგორც ბიზნესმენი და ბათუმში, ტრამპ-თაუერის აშენებას გეგმავდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, პროექტზე მუშაობა არ გაგრძელებულა.

***

„მე აქ არ უნდა ვიყო, მე მკვდარი უნდა ვიყო“, – ეს განცხადება დონალდ ტრამპმა თავდასხმის შემდეგ გააკეთა. მისივე თქმით, მოქმედების პატარა ცდომილების შემთხვევაში, ტყვია ან ტვინში, ან პირდაპრ თავის ქალაში მოხვდებოდა, რაც მის სიკვდლს გამოიწვევდა.

„მე აქ არ უნდა ვიყო, მე მკვდარი უნდა ვიყო. საავადმყოფოში ექიმმა თქვა, რომ მას მსგავსი არაფერი უნახავს, მან ამას სასწული უწოდა. ყველაზე წარმოუდგენელი ის იყო, რომ მე არა მარტო მოვტრიალდი, არამედ, ზუსტად სწორ დროს, ზუსტად საჭირო რაოდენობით, თუ მხოლოდ ნახევრად მოვტრიალებოდი, ტყვია პირდაპირ ტვინში მომხვდებოდა, მეორე შემთხვევაში კი – თავის ქალაში. მე სიამოვნებით მივაღწევდი ერთიანობას, თუ ეს შესაძლებელია. მეორე მხარეს ბევრი კარგი ადამიანია. ზოგს ნამდვილად სურს ღია საზღვრები და ზოგსაც – არა. საკითხავია, შეიძლება თუ არა ეს ორი მხარე ერთად იყოს. მხარეები, სადაც ჰყავთ ადამიანები, რომელთაც სურთ, ნახონ მამაკაცები ქალთა სპორტში და მხარეები, სადაც არ ესმით ერთობის ნებადართული ცნებაც კი“, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

ასეა თუ ისე, ყველა ექსპერტი – ქართველიცა და უცხოელიც ვარაუდობს, რომ თუ დემოკრატები საპრეზიდენტო კანდიდატს არ შეცვლიან და ბაიდენი აშშ-ის პირველი პირის სავარძლის დაკავებას ხელმეორედ შეეცდება, ამ ბრძოლაში ტრამპს დიდი უპირატესობა ექნება.

ასე რომ, ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება.

ჯერ – ჭამა, მერე – საქმე

გერმანელმა სწავლულებმა, კვლევის შედეგად, დაადგინეს, რომ ადამიანმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ჭამის შემდეგ უნდა მიიღოს, რადგან სისხლში შაქრის დონის მატება ტვინის უჯრედების მუშაობას აუმჯობესებს. კვლევის პერიოდში მოხალისეები სხვადასხვა ტესტს გადიოდნენ. შედეგად გაირკვა, რომ ის მონაწილეები, რომელთაც ტესტირების წინ ტკბილი სასმელი მიირთვეს, უფრო სწორი და გაწონასწორებული გადაწყვეტილებები მიიღეს. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ასეთი დამოკიდებულება ენერგიის მატების გამო ვლინდება და დანაყრებულ მდგომარეობაში ადამიანი მზადაა სერიოზული დავალებების შესასრულებლად. სისხლში შაქრის დაბალი დონის შემთხვევაში კი, ორგანიზმი მოდუნებულია და ამ დროს ადამიანი საქმეზე მეტად, ჭამაზე ფიქრობს.

ფიქრებს იმპლანტით გააკონტროლებენ



ამერიკელმა სწავლულებმა, მინესოტას უნივერსიტეტიდან, ტვინის ახალი იმპლანტი შექმნეს, რომელიც აზროვნების პროცესს აკონტროლებს. ადამიანს დროთა განმავლობაში, შესაძლოა, ტვინის კოგნიტური ფუნქციების კონტროლის პრობლემები განუვითარდეს – ფსიქიკური აშლილობა, დეპრესია და სხვა. ეს ნერვული დაავადებები აზროვნების პროცესის შეფერხებას იწვევს. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ცენტრალური სეგმენტარული უბნების ელექტრული სტიმულაცია, შესაძლოა, პაციენტებს კოგნიტური ფუნქციების გაუმჯობესებაში დაეხმაროს. სისტემა მოკლე ელექტრულ იმპულსებს აგზავნის ტვინის კონკრეტულ უბანზე, მისი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ექსპერიმენტები სწავლულებმა 12 პაციენტზე ჩაატარეს, რომელთაც ეპილეფსიის სამკურნალოდ, ტვინზე ოპერაცია გაიკეთეს. კვლევის შედეგები დამაიმედებელი აღმოჩნდა. სპეციალისტების თქმით, ახალი სისტემა შეიძლება მძიმე ფსიქიკური დარღვევების მქონე პირების სამკურნალოდაც გამოიყენონ.

ქარხანა ადამიანების გარეშე იმუშავებს

ტექნიკის მწარმოებელმა ჩინურმა კომპანიამ Xiaomi, ახალი თაობის სმარტფონების ქარხანა გახსნა, რომელიც ადამიანის მონაწილეობის გარეშე ფუნქციონირებს. „ჭკვიანი“ ქარხანა სულ მალე პეკინში ამოქმედდება, რომლის სამუშაო გრაფიკიც 24-საათიანი იქნება. მანქანები „იურთიერთებენ“ ერთმანეთთან, თავად გადაწმენდენ მტვერსაც და პროდუქციის ხარისხსაც შეამოწმებენ. ვარაუდობენ, რომ საწარმო წამში – ერთ, დღე-ღამეში – 86 400 სმარტფონის გამოშვებას შეძლებს. ამ პროექტზე Xiaomi-მმა 2.4 მილიარდი დოლარი დახარჯა. თუმცა, კომპანიაში აცხადებენ, რომ პეკინში „ჭკვიანი“ ქარხნის გახსნა მხოლოდ პირველი ნაბიჯია და მომავალში ეს მიმართულება მხოლოდ გაფართოვდება.

მოსახლეობას სიცილისკენ მოუწოდებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში, იამაგატას პრეფექტურაში მიიღეს დადგენილება, რომელიც ადგილობრივებს მოუწოდებს, დღეში სულ მცირე, ერთხელ მაინც გაიცინონ. როგორც ადგილობრივ პრესაში წერენ, დეპუტატებმა ეს ინიციატივა იქაური უნივერსიტეტის კვლევის შედეგების მიხედვით წამოაყენეს. სწავლულებმა დაადგინეს, რომ ადამიანებს, რომლებიც ხშირად იცინიან, ნაკლებად აქვთ ნაადრევი სიკვდილისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკი. ამასთან, იამაგატას მთავრობამ ყოველი თვის 8 რიცხვი სიცილის მეშვეობით ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის განმტკიცების დღედ გამოაცხადა. ადგილობრივ ბიზნესებს კი მოუწოდებენ, თანამშრომლ;ებისთვის „სიცილით სავსე სამუშაო გარემო“ შექმნან. თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ დადგენილება ადამიანს სიცილს არ ავალდებულებს და არც რამე ჯარიმაა მათთვის, რომლებსაც გაცინება არ სურთ.

სიცხემ ხიდი დააზიანა



აშშ-ში ძლიერმა სიცხემ ერთ-ერთი უდიდესი ხიდის დაზიანება გამოიწვია, – იუწყება Metro. მაღალი ტემპერატურის გამო, ნიუ-იორკის ხიდი დაზიანდა, რომელიც მანჰეტენსა და ბრონქსს აკავშირებს ერთმანეთთან. თაკარა მზემ და ჰაერის მაღალმა ტემპერატურამ ხიდის გადაცხელება და ლითონის ნაწილების გაბერვა გამოიწვია. შედეგად, 853 მეტრის სიგრძის ხიდი გამოსაყენებლად უვარგისი გახდა და ის დაკეტეს. სიტუაციის გამოსწორებას წყლის საშუალებით შეეცადნენ – მეხანძრე-მაშველები წყალს ხიდზე ვერტმფრენიდან და კატერებიდან ასხამდნენ, რათა მეტალი ცოტათი მაინც გაეცივებინათ. შედეგის მიღწევა მხოლოდ დღის ბოლოს შეძლეს და მესამე ავენიუზე მიმავალ ხიდზე კვლავ დაუშვეს მოძრაობა.

ყველაზე საშიში ყველი მსოფლიოში

იტალიის კუნძულ სარდინიაზე აწარმოებენ ყველს, რომელსაც „კასუ მარცუს“ უწოდებენ და რომელიც გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც „ყველაზე საშიში მსოფლიოში“. მიზეზი ის არის, რომ ყველს მატლები აკეთებენ. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, რომ ამ ყველის გემო კამამბერის ან გორგონძოლას მსგავსია და ის დელიკატესად ითვლება. ყველს მატლები შიგნიდან ჭამენ და პროდუქტს განსაკუთრებულ გემოს სძენენ. მატლების ფერმენტაცით დამზადებული ყველი უკანონოა და წარმოუდგენლად საშიაშია მოხმარებისთვის, თუმცა ჯერ არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, რომ „კასუ მარცუთი“ ვინმე გარდაცვლილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ყველის წარმოება ქვეყანაში აკრძალულია, სარდინიელები მას ძველი ტრადიციის მიხედვით, მაინც ამზადებენ. ყოველწლიურად, 100 ტონაზე მეტი „კასუ მარცუ“ კეთდება, ფულადი ბრუნვა კი 3 მილიონ ევროს აღწევს.

კიბოს მკურნალობაში ნანო-რობოტებს დაიხმარენ

მკვლევარებმა სიმსივნურ უჯრედებში ქიმიოთერაპიული მედიკამენტების გადატანის ინოვაციური მეთოდი შეიმუშავეს. როგორც Science Daily წერს, ქიმიოთერაპიის ახლებური მეთოდი ორგანიზმში პრეპარატის ნანო-რობოტებით შეყვანას უკავშირდება. კვლევების თანახმად, სპეციალურად შექმნილი ტექნოლოგია პირდაპირ კიბოს უჯრედებში ინექციის გაკეთების საშუალებას იძლევა. ნანო-რობოტების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ახალ მეთოდს შეუძლია შეამციროს გვერდითი მოვლენები. მისი დამზადება სამგანზომილებიანი პრინტერის მეშვეობით ხდება.

მოწევის შედეგები მემკვიდრეობით გადადის

ისეთი მავნე ჩვევა, როგორიც თამბაქოს მოწევაა, გარკვეულ ანაბეჭდს ტოვებს გენეტიკურ შემადგენელზე. მოწევის შედეგები, შესაძლოა, თაობიდან თაობას გადაეცეს. მაგალითად, იმ ქალის შვილიშვილი, რომელიც თავგამოდებული მწეველი იყო, შესაძლოა, ასთმით იყოს დაავადებული, – ასეთ ვარაუდებს გამოთქვამენ ამერიკელი მეცნიერები, ლოს-ანჯელესის ბიოსამედიცინო კვლევითი ინსტიტუტიდან. მათ მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ნიკოტინი თავისებურ ნაკვალევს ტოვებს ადამიანის გენომზე. ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარდა. ფეხმძიმე მღრღნელებს აძლევდნენ ნიკოტინს, რის შემდეგაც გაირკვა, რომ მათი შთამომავლობა ასთმის განვითარებისკენ იყო მიდრეკილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პეთოლოგიური გენი შემდგომ თაობასაც გადაეცემოდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იყვნენ ნიკოტინის ზემოქმედების ქვეშ. ჩატარებული კვლევა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რაც ადრე კალიფორნიელმა სწავლულებმა გამოავლინეს: ბებიების მავნე ჩვევის შედეგები მათი მომავალი შვილიშვილების ჯანმრთელობაზე ახდენს გავლენას. სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიოში, დაახლოებით, 250 მილიონი მწეველი ქალია. ფეხმძიმობის პერიოდში კი მათი 12% კვლავ აგრძელებს სიგარეტის მოწევას.

ქალებს ჰაერის დაბინძურება ასუქებს

ჰაერის დაბინძურება გავლენას ახდენს ქალების წონაზე, სხეულის მასის ინდექსზე, წელის გარშემოწერილობასა და ცხიმდაგროვებებზე. სუსტი სქესის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც გამუდმებით სუნთქავენ მცირე ნაწილაკებით, აზოტის დიოქსიდითა და ოზონით, ორგანიზმში ცხიმის შემცველობა – მაღალი და ნაკლები კუნთოვანი მასა აქვთ. ასეთი დასკვნები ამერიკელმა სწავლულებმა გააკეთეს, მიჩიგანის უნივერსიტეტიდან. მათ სხვადასხვა რასის წარმომადგენელი 1.7 ათასი ქალის მონაცემები გააანალიზეს, რომელთაც რვა წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. დაბინძურებული ჰაერის გამო, ქალების სხეულში 5%-ით მეტი ცხიმი დაგროვდა. მავნე ატმოსფერული ნაწილაკების გავლენის კომპენსირება ფიზიკური აქტივობით არის შესაძლებელი, – აცხადებენ მკვლევარები.

მთელ სოფელს სახლის ფასად ჰყიდიან



ესპანეთში, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, საკუთრებაში მთლიანი სოფელი ჰქონდეს. პოტენციურ მყიდველს შესაძლებლობა აქვს, დასახლებული პუნქტის მფლობელი გახდეს, რომელიც უკვე 30 წელიწადია, დაცლილია. ლაპარაკია დასახლება სალტო-დე-კასტროზე, რომელიც პორტუგალიის საზღვართან მდებარეობს. 2008 წელს, იქ ტურისტული ცენტრის გაკეთებას ვარაუდობდნენ, თუმცა ეს გეგმები გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამო ჩაიშალა. ამჯერად, სოფლის გაყიდვა გადაწყვიტეს. სალტო-დე-კასტრის ღირებულება სულ 240 ათასი ევროა. ამ თანხით, მადრიდში მხოლოდ ერთი სახლის ყიდვა შეიძლება.

უფასო სადილი – ეკოლოგიური კომპენსაცია

დანიის დედაქალაქში, ტურისტებს ველოსიპედით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისთვის დაასაჩუქრებენ. ამ ინიციატივით კოპენჰაგენში ტურიზმის „ეკოლოგიური დატვირთვის“ კომპენსირება უნდა მოხდეს. ჯილდოს სახით კი მოგზაურებს უფასო სადილებს, ყავას, ჭიქა ღვინოს, კაიაკის დაქირავებას ან მუზეუმის ბილეთს შესთავაზებენ. პროგრამას უკვე შეუერთდა 24 ორგანიზაცია, მათ შორის, კაფეები, მუზეუმები და ბარები. პროექტი ნდობაზეა დაფუძნებული, ამიტომ ორგნიზაციები, ალბათ, არც მოსთხოვენ ტურისტებს მწვანე ღონისძიებებში მონაწილეობის მტკიცებულებას. შესაძლოა, ზოგან შესაბამისი ფოტო მოითხოვონ. პროგრამა კოპენჰაგენში უკვე ამოქმედდა და ის აგვისტოს ბოლომდე გასტანს. თუკი ის წარმატებული აღმოჩნდება, წლის ბოლომდე გაახანგრძლივებენ.

ბანაკი თიბვის სწავლის მსურველთათვის

უნგრეთის ქალაქ ჰარომჰუტაში, საზაფხულო ბანაკი მოეწყო მათთვის, რომლბსაც ბალახის თიბვის შესწავლა სურთ. კურსი სულ სამ დღეს გრძელდება, მონაწილეებს უფასოდ შესთავაზებენ საცხოვრებელსა და კვებას. ამ დღეების განმავლობაში, მოსწავლეები გაიგებენ, როგორ გამოიყენონ სწორად ცელი და ახალ უნარებს პრაქტიკაში დატესტავენ. თიბვის ტრადიციული მეთოდი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას უწყობს ხელს. მექანიზირებული თიბვისგან განსხვავებით, მთიბავები მინდორში, ეგრეთ წოდებულ, მოზაიკას ქმნიდნენ – ახლად მოთიბული, გაუთიბავი და ხელახლა ამოსული ბალახის მონაკვეთების კომბინაციით. ეს კი ხელს უწყობს მწერების კომფორტულ არსებობას. გარდა ამისა, ადამიანს, სათიბი მოწყობილობისგან განსხვავებით, შეუძლია, თავად შეაფასოს ამა თუ იმ მონაკვეთის მდგომარეობა და გადაწყვიტოს, როდის სჯობს მისი გათიბვა.

„ეშმაკი ატარებს პრადას“ გააგრძელებენ

Disney-მ მუშაობა დაიწყო ფილმზე „ეშმაკი ატარებს პრადას-2“, – ინფორმაციას გამოცემა Variety ავრცელებს. სურათის პირველი ნაწილი 2006 წელს გამოვიდა ეკრანებზე. პროექტი დაწყებულია, თუმცა სტუდია, ჯერჯერობით, ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებს. ფილმის სცენარზე კვლავ ალინ ბროშ მაკენი მუშაობს. დიდი ალბათობით, მერილ სტრიპი (მირანდა პრისტლი) და ემილი ბლანტი (ემილი ჩარლტონი) საკუთარ როლებს დაუბრუნდებიან. გაურკვეველია, მიიღებს თუ არა მონაწილეობას მთავარი როლის შემსრულებელი ენ ჰეტუეი. მსახიობმა ადრე ეჭვი გამოთქვა, არა მგონია, ამ ფილმის გაგრძელება ოდესმე გამოვიდესო. ცნობილია, რომ მეორე სურათის სიუჟეტი უკვე მირანდა პრისტლიზე იქნება აწყობილი. თებერვალში გაჟღერდა ინფორმაციაც, რომ „ეშმაკი ატარებს პრადას“ სცენარის მიხედვით, მუზიკლი დაიდგმებოდა, ელტონ ჯონის კომპოზიციებით. მასში მირანდას როლს ვანესა უილიამსი შეასრულებს, რომელსაც მაყურებელი „სასოწარკვეთილი დიასახლისებიდან“ იცნობს. მიუზიკლის პრემიერა ლონდონში, ოქტომბერშია დაგეგმილი.

ქორწილი მეტროში გადაიხადეს

ახალგაზრდა წყვილმა ბრუკლინიდან – დენიელ ჯინმა და ესმი ვალდესმა ქორწილი ნიუ-იორკის მეტროში გადაიხადეს, რადგან ძვირადღირებული ცერემონიისთვის საკმარისი თანხა არ ჰქონდათ, – წერს New York Post-ი. „იმდენი ფული არ გვქონდა, რომ ჩვენი საოცნებო ქორწილი მოგვეწყო. ამიტომ გადავწყვიტე, საცოლესთვის სიურპრიზი გამეკეთებინა და ეს შესანიშნავი დღე მეტროში აღგვენიშნა“, – ამბობს 39 წლის ჯინნი, რომელიც მარკეტინგის მენეჯერია. ბედნიერი დღე წყვილმა მეტროს ვაგონში, 20 მეგობართან და სრულიად უცნობ ადამიანებთან ერთად აღნიშნა, რომლებიც იმ მომენტში მიწისქვეშა ტრანსპორტით მგზავრობდნენ. ახადაქორწიონებულების თქმით, ცერემონია მათ სულ 3 ათასი დოლარი დაუჯდათ. მხიარულებისთვის ქორწილში ნაცნობი კომიკოსი დაპატიჟეს, ასევე მეგობრები, რომლებიც სადღესასწაულო სუფრასა და ივენთის დაგეგმვაში დაეხმარნენ. როგორც გამოცემა წერს, საქორწინო ცერმონიის საშუალო ფასი ნიუ-იორკში, დაახლოებით, 64 ათას დოლარს შეადგენს, მთლიანად აშშ-ში კი – 35 ათას დოლარს.

ორგანოებს ადამიანის უჯრედებისგან დაამზადებენ



დიდ ბრიტანეთში, სოუნსის უნივერსიტეტის სწავლულები 2.5 მილიონ გირვანქა სტერლინგს დახარჯავენ კვლევისთვის, როგორ გამოიყენონ ადამიანის უჯრედები და მცენარეული მასალა ცხვირისა და ყურების ხრილის 3D-ბეჭდვისთვის. წარმატების შემთხვევაში, ამ ნოვატორულ მეთოდს გამოიყენებენ იმ ადამიანების დასახმარებლად, რომლებიც სხეულის ამ ნაწილების გარეშე დაიბადნენ, ან დამწვრობის, ტრავმისა თუ ონკოდაავადების გამო დამახინჯდნენ. პლასტიკური ქირურგიის სპეციალისტების თქმით, სამგამზომილებიან პრინტერებს შეუძლიათ, დააჩქარონ ოპერაციები, პაციენტებს განწყობა გაუუმჯობესონ და ფინანსური ხარჯებიც შეუმცირონ ქირურგიულ განყოფილებებს. ახალი მეთოდის კლინიკური ცდები უახლოეს წლებში უნდა ჩატარდეს.

გემრიელი საჭმელი სიცოცხლეს გვიმოკლებს?

ამის თაობაზე სამხრეთ კორეელმა სწავლულებმა შესაბამისი კვლევების შემდეგ განაცხადეს. თავის ტვინის სენსორული უჯრედები, რომლებიც აქტიურდებიან ზოგიერთი გემოსა და სურნელის ზემოქმედების შედეგად, აძლიერებენ ჰორმონ – ინსულინ-6-ის სინთეზს. სისხლში ამ ჰორმონის მომატებული რაოდენობა კი ნეგატიურად მოქმედებს სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობაზე, – გვიხსნიან მკვლევარები. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ საკვების სუნისა და გემოს მიმართ უფრო მგრძნობიარენი ის ადამიანები არიან, რომელთაც ზედმეტი წონის პრობლემა აქვთ. პირველ რიგში, სწორედ ისინი უნდა დაფიქრდნენ საკუთარ ჯანრთელობაზე და შეცვალონ არსებული კვებითი პრიორიტეტები.

„მარიხუანას“ ძაღლებსაც გაასინჯებენ

ამერიკული კულინარიული ტელეშოუს წამყვანმა, მარტა სტიუარტმა შინაური ცხოველებისთვის განკუთვნილი საკვების გაყიდვები წამოიწყო, რომელშიც კანაფია გარეული. ეს ორცხობილები და ზეთია, რომელიც ძაღლებისთვის საკვებ დანამატად შეიძლება გამოიყენონ. საკვებში კანაბიდიოლს უმატებენ – ეს კანაფის ექსტრაქტია და მას არ აქვს ფსიქოაქტიური თვისებები, თუმცა დამამშვიდებლად მოქმედებს ადამიანებსა და ცხოველებზეც. სტიუარტი ამტკიცებს, რომ მისი პროდუქცია საყვარელი ცხოველების ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს, მოუხსნის მათ სტრესს და სახსრების ჯანმრთელობას შეუნარჩუნებს. ახალი საკვების ღირებულება 20-დან 23 დოლარამდეა.

მომღერალმა ფეხების „ბიზნესი“ წამოიწყო

ცნობილი ბრიტანელი მომღერალი, ლილი ალენ ახალი „ბიზნესის“ აწყობას ცდილობს. ის საკუთარი ფეხების ფოტოებს უფროსებისთვის განკუთვნილ საიტზე OnlyFans დებს და ყიდის. იმის გამო, რომ მომღერალს ქვეყანაში კარგად იცნობენ, მისი ექაუნთი საიტზე უკვე საკმაოდ პოპულარულია. დათვლილია, რომ თუკი ალენი მთელი წლის განმავლობაში გაყიდის ინტერნეტით საკუთარი ფეხების ფოტოებს, საერთო ჯამში, დაახლოებით, 150 ათას გირვანქა სტერლინგს იშოვის. როგორც გაირკვა, ეს „ბიზნესი“ მომღერალს სულ ახალი, ერთი კვირის წამოწყებული ჰქონია. 39 წლის ლილიმ საიტზე ექაუნთის შექმნით გააკვირვა საკუთარი თაყვანისმცემლები. მისი ფეხებით ტკბობის მსურველებს თვეში რვა გირვანქა სტერლინგის გაღება მოუწევთ. ალენს ჯერჯერობით მხოლოდ შვიდი ასეთი ფოტო აქვს გამოქვეყნებული. მეტი ფული რომ გამოიმუშაოს, მომღერალმა საკუთარი ფეხების ფოტოები სხვა სოციალური ქსელების ექაუნთებიდან წაშალა.

წნევას პომიდვრით უმკურნალებთ

ამომავალი მზის ქვეყანაში, გაყიდვაში გამოვიდა პომიდორი შესწორებული გენომით – მათში ხუთჯერ მეტი გამა-ამინომჟავებია. ის არტერიულ წნევას აქვეითებს და გულის რიტმს ანელებს. ამგვარად, ახალი პომიდორი ადამიანებს წნევის დარეგულირებაში უნდა დაეხმაროს. ახალ ჯიშს Sicilian Rouge High GABA უწოდეს. ის კუმამოტოს პრეფექტურაში მოჰყავთ. აღსანიშნავია, რომ პომიდორი შესწორებული გენომით – ეს პირველი პროდუქტია იაპონიის ბაზარზე. გენმოდიციფირებული ბოსტნეულისგან ის იმით განსხვავდება, რომ მის დნმ-ში არ არის ხელოვნური გენი. პომიდორი CRISPR/Cas-ის ტექნოლოგიის დახმარებით გამოიყვანეს.

ლიფტით – კოსმოსში

იაპონური კომპანია – Obayashi Corporation, ლიფტის კოშკის აშენებას გეგმავს, რომლითაც კოსმოსში ასვლა იქნება შესაძლებელი. ის გრძელი ტროსით იმუშავებს, რომელიც დედამიწას გარშემო სივრცესთან დააკავშირებს. ტექნოლოგია კოსმოსში ტვირთების გაგზავნის ხარჯებისა და ფრენის დროის შემცირებას საშუალებას იძლევა. სავარაუოდ, ერთი კილოგრამი ტვირთის გაგზავნა 50-დან 500 დოლარამდე დაჯდება. შედარებისთვის, მასკის SpaceX-ს 2500 დოლარად მიაქვს. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ კოსმოსური ლიფტის წყალობით, მარსზე 3-4 თვეში ჩააღწევენ, ნაცვლად 6-8 თვისა. ლიფტის შექმნა სერიოზულ ძალისხმევასა და უამრავი პრობლემის გადაჭრას მოითხოვს, თუმცა კომპანიაში ირწმუნებიან, რომ ისინი ფლობენ საჭირო უნარებსა გამოცდილებას ამ პროექტის სისრულეში მოსაყვანად. წინასწარი შეფასებებით, ამ გეგმის რეალიზაციაზე, დაახლოებით, 100 მილიარდი დოლარი დაიხარჯება. იაპონელი ინჟინრები ვარაუდობენ, რომ ლიფტის კოსმოსში გაშვება 2050 წლისთვის იქნება შესაძლებელი. თანაც, მათი მტკიცებით, ლიფტი კოსმოსურ რაკეტებზე უფრო უსაფრთხო და ეკოლოგიურიც იქნება, ატმოსფეროში ნაკლები მავნე გამონაბოლქვი გაიფრქვევა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.